მეორე თავის „მშობლიური და მეორე ენის ფლობის საკითხები უმცროს სასკოლო ასაკში“ პირველ პარაგრაფში განვიხილავთ, თუ რა იგულისხმება მეორე ენის ათვისებაში? მეორე პარაგრაფში ხაზგასმულია ლინგვისტიკის, ფსიქოლოგიისა და

სოციოლოგიის როლი მეორე ენის ათვისების პროცესში; *მესამე პარაგრაფში* ყურადღებას ვამახვილებთ ორი ენის ფლობის თეორიაზე;

მესამე თავის „ბილინგვალ ბავშვთა მეტყველების თავისებურებების კვლევა ნარატივის მეთოდის გამოყენებით“ *პირველ პარაგრაფში* ვმსჯელობთ ნარატივის რაობასა და მის მნიშვნელობაზე. *მეორე პარაგრაფი* კი ეთმობა უშუალოდ ნაშრომში წარმოდგენილ კვლევას: **ენობრივი ინტერფერენცია ქართველ-ბერძენ ორენოვან უმცროსკლასელთა ნარატივებში და ბერძენ / ქართველ ერთენოვან უმცროსკლასელთა ნარატივების შედარებითი კვლევა**, რომელიც წარმოდგენილია: *ქართველ-ბერძენ და კონტოელ ბერძენ-ქართველ ბილინგვალ უმცროსკლასელთა მაგალითზე*, და აღნიშნული *სამიზნე ჯგუფებისა და ქართველ ერთენოვან ბავშვთა ტექსტებთან ბერძენ მონოლინგვალ ბავშვთა ნარატივების შედარებითი ანალიზით*.

დასკვნებში განზოგადებული და ასახულია კვლევის ძირითადი შედეგები.

ნაშრომის ბოლოს განთავსებულია ცხრილების, აკრონიმებისა და აბრევიატურების ჩამონათვალი, ასევე, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

ნაშრომს დანართების სახით ახლავს: 1) ავტორის მიერ მოპოვებული ბილინგვალ და მონოლინგვალ ცდის პირთა ნარატიული ტექსტები ქართულ და ახალბერძნულ ენებზე, და 2) „ბაყაყის მოთხრობის“ სრული კომპლექტი, რომელიც კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა ნარატივების შეგროვების მასალად.

დისერტაციის მნიშვნელოვანი საკითხები წარმოდგენილია ავტორის მიერ სხვადასხვა წლებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე გაკეთებულ მოხსენებებში, რომელთა ჩამონათვალი განთავსებულია ნაშრომის ბოლოს.

## თავი I. ბილინგვიზმი

## §1. ტერმინთა განმარტებისთვის<sup>6</sup>

მეორე ენების სამყარო ტერმინთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. შესაბამის ლიტერატურაში მათ არაერთგვაროვან განმარტებებს ვეცნობით, ეს კი გამოწვეულია იმით, რომ სხვადასხვა ავტორი და მკვლევარი ტერმინებს საკუთარ განსაზღვრებებს „უქვემდებარებს“, რისი მიზეზიც ამ ტერმინთა სტანდარტიზებული განმარტებების არარსებობა გახლავთ (ბეიკერი, 2010: 3). მაგალითად:

საზოგადოდ გავრცელებული განმარტების თანახმად, *მულტილინგვიზმი* (ლათ. *multus* „მრავალი“ და *lingua* „ენა“) ნიშნავს უნარს, გამოიყენო ორი ან მეტი ენა. თუმცა, რიგი ლინგვისტებისა და ფსიქოლოგებისა, როდესაც პიროვნებას ორი ენის გამოყენების უნარი აქვს, იყენებენ ტერმინს *ბილინგვიზმი* (ლათ. *bi-* „ორმაგი, ორგვარი“ და *lingua* „ენა“), ხოლო *მულტილინგვიზმს* - ორზე მეტი ენის გამოყენების შემთხვევაში მიმართავენ (სავილიე-ტროიკე, 2016: 8; გამყრელიძე და სხვ., 2008: 459).

სხვაგან ვკითხულობთ: *მრავალენოვნება / მულტილინგვიზმი* - ეს არის უნარი, გამოიყენო ენები კომუნიკაციის მიზნით და მონაწილეობა მიიღო კულტურათაშორის ურთიერთობებში, სადაც პიროვნება, რომელიც მიჩნეულია სოციალურ აგენტად, ფლობს სხვადასხვა ენას გარკვეულ დონეზე და სხვადასხვა კულტურაში აქვს გამოცდილება. ეს არ მიაჩნიათ ცალკე კომპეტენციების შეთავსებად ან შეპირისპირებად, არამედ კომპლექსური ან თუნდაც ერთიანი კომპეტენციების არსებობად, რომლის საფუძველზე შესაძლებელია იმოქმედოს მომხმარებელმა (გაბუნია და სხვ., 2008: 88-89; ტაბატაძე და სხვ., 2010: 180-181).

*ბილინგვიზმი/ორენოვნება* გულისხმობს ორი (ან რამდენიმე) ენის გამოყენებას ერთი და იმავე ენობრივი ერთობის წევრთა მიერ სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული განმარტების თანახმად, ლეონარდ ბლუმფილდი (Leonard Bloomfield) (1993) ბილინგვიზმში ორი ან მეტი ენის მშობლიურის დარად ფლობას გულისხმობდა. ჰაინც კლოსი (Heinz Kloss) გახლდათ პირველი, ვინც მკვეთრად გამიჯნა ერთმანეთისაგან ორენოვნება და მრავალენოვნება ეროვნულ და ინდივიდუალურ დონეებზე (ბეიკერი, 2010: 8; გაბუნია და სხვ., 2008:

---

<sup>6</sup> წინამდებარე პარაგრაფი მოიცავს იმ ძირითად ტერმინთა განმარტებებს, რომლებიც ნაშრომში გვაქვს გამოყენებული მულტილინგვიზმთან დაკავშირებით.

91). აქედან: *ბილინგვალი / ორენოვანი*: ა) ადამიანი, რომელიც ერთდროულად ორ ენას ფლობს, რომელთაგან „პირველი ენა“ (მშობლიური ენა) მას ათვისებული აქვს ბავშვობაში, ოჯახში (როგორც წესი, ეთნიკური ენა); მეორე ენა მოგვიანებით შეისწავლება (ზოგჯერ – ერთდროულად); უმეტესად, მეორე ენის კომუნიკაციური კომპეტენცია ჩამორჩება პირველისას (მშობლიურისას); ბ) ტერმინი ზოგჯერ გამოიყენება ინდივიდის აღსანიშნავად, რომელიც ერთდროულად ორ ენას ფლობს (გაბუნია და სხვ., 2008: 26-27; ბილინგვური განათლება, 2008: 4-7). *ბილინგვალის დახასიათებისას უნდა გავცდეთ ბილინგვიზმის მრავალმხრივ ლანდშაფტს და ბილინგვიზმი განვიხილოთ მარტივად, ორი ენის პრაქტიკული გამოყენების კონტექსტში* (ბეიკერი, 2010: 8-9).

*სინქრონიული ბილინგვიზმი* ეწოდება ბავშვის მიერ დაბადებიდან ორი ენის ათვისებას (ბეიკერი, 2010: 4).

*გარემოებითი ბილინგვალები* სწავლობენ მეორე ენას, რათა შეძლონ ეფექტურად ფუნქციონირება შექმნილი გარემოებების გამო (მაგალითად, იმიგრანტები). გარემოებითი ბილინგვალები ყოველთვის არიან საკუთარი მშობლიური ენის დაკარგვის საფრთხის ქვეშ (ბეიკერი, 2010: 4).

*ასიმეტრიული ორენოვნება (ბილინგვიზმი)* ეს არის ბილინგვიზმის ტიპი, რომელიც ვითარდება ასიმეტრიული (ფუნქციურად უთანასწორო) ურთიერთობის დროს განსხვავებულ ენებს შორის (გაბუნია და სხვ., 2008: 23-24).

*სემილინგვიზმი* - ორენოვანი ინდივიდის ან სამეტყველო ერთობის არასრულფასოვანი (დეფიციტური) კომპეტენცია ორივე ენაში (ჰანსეგარდი, 1975). ამავე ცნების აღსანიშნავად გვხვდება ასევე ტერმინი *შეზღუდული ორენოვნება* (გაბუნია და სხვ., 2008: 106-107). აქედან: *სემილინგვალებს ან ორმაგ სემილინგვალებს* უწოდებენ იმ ბილინგვალებს, რომელთაც არ აქვთ სათანადო კომპეტენცია არცერთ ენაში (ბეიკერი, 2010: 11).

ბილინგვალები, რომლებიც კარგად ფლობენ ორივე ენას, ხშირად „*თანაბარლინგვალებს*“ ან „*ამბილინგვალებს*“ უწოდებენ, თუმცა, ყველაზე ფართოდ გავრცელებული ტერმინი *დაბალანსებული ბილინგვალია* (კუკი, 1992, 2002ა, 2002ბ; გროსჟანი, 1985, 1994, 2001). *დაბალანსებული ბილინგვიზმი* მნიშვნელოვანია, როცა

განვიხილავთ ბილინგვიზმისა და კოგნიტური განვითარების საკითხებს (იხ. ბეიკერი, 2010: მე-8 თავი). იგი ხშირად გაიდეალიზებულია, თუმცა ფიშმანი (1971) მიუთითებს, რომ ძალიან იშვიათია, როცა ინდივიდი თანაბრად კომპეტენტურია ორ ენაში, ნებისმიერ სიტუაციაში; ერთ-ერთ ენაში არასრულფასოვანი კომპეტენციის მქონე ორენოვან ინდივიდებს კი *ნაწილობრივ ბილინგვალებს* უწოდებენ (ბეიკერი, 2010: 19).

*ერთენოვნება/მონოლინგვიზმი* - ერთკომპონენტური ენობრივი სიტუაცია, რომელშიც ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი ენა თავისი არსებობის ერთი ან რამდენიმე ფორმით (სავილიე-ტროიკე, 2016: 8). აქედან: *ერთენოვანი/მონოლინგვალის* - პირი, რომელიც ფლობს მხოლოდ ერთ ენას და მხოლოდ ამ ენაზე შეუძლია კომუნიკაცია (გაბუნია და სხვ., 2008: 59).

*ე1 (პირველი ან შთამომავლობის ენა)* ეს აკადემიური ტერმინი ზოგადად გამოიყენება *მშობლიური ენის* აღსანიშნად. ეს არის ენობრივი სახესხვაობა (სახესხვაობები), რომელიც შექმნილია ადრეულ ბავშვობაში. მშობლიური ენის სინონიმად *დედაენა* გამოიყენება, რომელიც არის *ოჯახის ენა* (გაბუნია და სხვ., 2008: 35, 93). *წარმოშობის ენა* - ეს ენობრივი სახესხვაობაც ზოგჯერ უტოლდება პირველი ენის მნიშვნელობას, რადგანაც იგი ხშირად სწორედ, პირველი ენაა იმ პირებისა და ჯგუფებისა, რომლებიც გადავიდნენ სხვა სახელმწიფოში საცხოვრებლად. ამ ენის მომხმარებლები უნდა ადაპტირდნენ ლინგვისტურად ახალ გარემოსთან და ისწავლონ თუნდაც ნაწილობრივ მასპინძელი ქვეყნის ენა (ან ენები) (გაბუნია და სხვ., 2008: 126; სავილიე-ტროიკე, 2016: 4).

*ე2 (მეორე ენა)* ეს არის ეროვნული / ეთნიკური უმცირესობებისთვის ქვეყნის ძირითადი მაცხოვრებლების ენა, რომელსაც ისინი შეისწავლიან, რათა გამოიყენონ იგი საზოგადოებრივ სფეროში; ეს არ უნდა ხდებოდეს მშობლიური ენის დისკრიმინაციის ხარჯზე, თუმცა, მეორე ენის ხშირი გამოყენებით, მიიღწევა მისი დაუფლება მშობლიური ენის დონეზე. მეორე ენას სხვაგვარად *დამატებითი ენა* ჰქვია, თუმცა ის შეიძლება იყოს მესამე, მეოთხე და ა.შ. ზოგჯერ მას *შეძენილ ან სამიზნე ენასაც* უწოდებენ (გაბუნია და სხვ., 2008: 81-82; სავილიე-ტროიკე, 2016: 2).

*დომინანტური (დომინანტი) ენა* ეს გახლავთ: ა) ენობრივი სახესხვაობა, რომელშიც მოლაპარაკეს აქვს კომპეტენციის უმაღლესი დონე; ანდა ბ) ენის სახესხვაობა, რომელიც სარგებლობს ლეგალური, სოციალური და კულტურული სტატუსით სხვა სახესხვაობებზე მეტად მოცემულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე (გაბუნია და სხვ., 2008: 39). მეორე ენა ჩვეულებრივ, *ოფიციალური ან დომინანტი ენაა*, რომელიც აუცილებელია განათლების, დასაქმების ან სხვა მიზნებისთვის (სავილიე-ტროიკე, 2016: 4).

*ენობრივი კომპეტენცია* საკმაოდ ზოგადი და ფართო ტერმინია, რომელიც გამოიყენება ენის შინაგანი და მენტალური გამოხატულების აღსაწერად (ბეიკერი, 2010: 22). *ენობრივი (ლინგვისტური) კომპეტენცია* შესაძლებელია განიმარტოს ორგვარად: 1) ერთი ან მეტი ენის სახესხვაობის გამოყენების შესაძლებლობა ურთიერთობისათვის (იხ. აგრეთვე *მრავალენოვნება*, ჩვენივე ნაშრომის გვ. 28); ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ფართო/შეზღუდული ენობრივი კომპეტენცია; და 2) შესაძლებლობა, გააანალიზო ენობრივი სახესხვაობა აღწერილი კატეგორიების მიხედვით (ტერმინი *მეტალინგვისტური კომპეტენცია* ამავე მნიშვნელობით გამოიყენება) (გაბუნია და სხვ., 2008: 53). ლინგვისტური კომპეტენცია, სხვა უნარ-ჩვევებთან და კვალიფიკაციასთან ერთად, წარმოადგენს ადამიანის პირად კაპიტალს, და როგორც კაპიტალის სხვა ფორმები, იგი ღირებულებებს იძენს ბაზრის კონიუნქტურის შესაბამისად (ბურდიე, 1977ა, 1991; გრენფელი, 2011ა, 2011ბ, 2011გ).

*ლინგვისტური კომპეტენციები* გულისხმობს ენის ფორმალურ მახასიათებლებს: ფონოლოგიას, მორფოლოგიას, ლექსიკოლოგიასა და სინტაქსს (გაბუნია და სხვ., 2008: 79). ლინგვისტური კომპეტენციებია: „სიტყვიერი კავშირების ცოდნა და ჩამოყალიბებული ფორმალური წესების ფლობა, რომელთა დახმარებითაც სიტყვათა კავშირები სრულყოფილი შინაარსის მქონე გამოთქმებად იქცევა” (ბილინგვური განათლება, 2008: 11).

*საბაზო ინტერპერსონალური საკომუნიკაციო უნარები (სიკუ)* - ენის შრე, რომელსაც ვიყენებთ ყოველდღიურ ურთიერთობაში. ენის ამ შრეს ბავშვები ითვისებენ, ეზოში თამაშის, სკოლაში მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს და სხვ. სოციალური ურთიერთობები კონტექსტშია ჩასმული და დამხმარე საშუალებებითაა



განმტკიცებელი (ჟესტი, მიმიკა). ისინი ფუნქციონალურია და ნაკლებად მოითხოვს კოგნიტურ დაძაბულობას. ენა ნაკლებად არის დატვირთული სპეციფიკური ლექსიკური ერთეულებით (გაბუნია და სხვ., 2008: 100).

**კოგნიტურ-აკადემიური ლინგვისტური უნარები (კალუ)** - ფორმალური აკადემიური სწავლის ენა, რომელიც მოიცავს *მოსმენას, ლაპარაკს, კითხვას* და *წერას* საგნობრივი შინაარსის გარშემო. ენის ამ შრის ათვისება სკოლაში მიმდინარეობს. მოსწავლეებს სჭირდებათ დრო და ძალისხმევა აკადემიური შინაარსის ასათვისებლად. კონტექსტი კი უფრო შეზღუდულია (გაბუნია და სხვ., 2008: 71-72).

**მეორე ენის დაუფლება (მედ)** - ამ ტერმინის (SLA - Second Language Acquisition) გამოყენება უკავშირდება სტეფან კრაშენის (Stephen D Krashen) სახელს, რომელმაც ერთმანეთს დაუპირისპირა ენის ფორმალური და არაკონსტრუქციული სწავლება (იხ. კრაშენი, 2003, 1982, 1989, 2004). მეორე ენის სწავლების აკადემიურ დისციპლინაში აბრევიატურა „მედ“ (მეორე ენის დაუფლება) იქცა წამყვან ტერმინად. იგი უფრო ორიენტირებულია ენის ბუნებრივ დაუფლებაზე (გაბუნია და სხვ., 2008: 82).

**მეორე ენის ათვისება (მეა)** - კი ეს არის ინდივიდის ან ჯგუფის მიერ ისეთი ენის დაუფლების პროცესი, რომელიც განსხვავდება ადრეულ ბავშვობაში შესწავლილი მშობლიური (ან პირველი) ენისაგან. როგორც ზემოთაც აღინიშნა, მეორე ენას ზოგჯერ *სამიზნე ენასაც* უწოდებენ (გაბუნია და სხვ., 2008: 81-82).

აქვე აღვნიშნავთ, რომ **SLA - Second Language Acquisition** (რომელიც ქართული *მეა*-ს ინგლისური შესატყვისია) ზოგჯერ **SLL - Second-Language Learning** ანუ **მეორე ენის სწავლასაც** უწოდებენ, სხვაგვარად მოიხსენიებენ, როგორც **L2 (language 2) acquisition**, თუმცა, კრაშენმა (1982) მკვეთრად განასხვავა ერთმანეთისგან **სწავლა** და **ათვისება**, გამოიყენა რა **სწავლა** ენის სწავლის პროცესის ცნობიერი ასპექტების მისათითებლად და **ათვისება** ქვეცნობიერის ასპექტებისთვის (კრაშენი, 1982, 1981a).

**ინტერფერენცია** ეს არის ორენოვნების პირობებში ენობრივი სისტემების ურთიერთქმედება, რომელიც ყალიბდება ენობრივი კონტაქტების ან არამშობლიური ენის ინდივიდუალური შესწავლის დროს; გამოიხატება გადახრებით მეორე ენის ნორმიდან და სისტემიდან მშობლიური ენის ზეგავლენით (გაბუნია და სხვ., 2008: 69-70). **ინტერფერენციის ფენომენს** განსაზღვრავენ, როგორც ნებისმიერი ენის

ნორმებიდან გადახრას, რომელიც ბილინგვალის მეტყველებაში ხდება ენობრივი კონტაქტების შედეგად. ენობრივი ინტერფერენციის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს მშობლიური ენის გავლენა მეორე ენის გამოყენებისას, თუმცა, გვხვდება პირუკუ შემთხვევებიც, რის თანახმადაც, შესასწავლი და მშობლიური ენების ინტენსიურმა შედარებამ, შეიძლება გამოკვეთოს ის სირთულეები, რასაც მეორე ენის დაუფლების პროცესში აწყდება ბილინგვალის (<http://dictionary.css.ge/content/interference>).

*ინტერენა* - შესასწავლი ენის სახესხვაობა, რომელიც ინტერფერენციის ობიექტს წარმოადგენს მშობლიური ენის მხრიდან, მაგრამ არ შეიცავს არცერთი მათგანის ელემენტებს. ინტერენა უცხო/მეორე ენის შესწავლის პროცესში ინდივიდის მიერ შექმნილი ლინგვისტური სისტემაა, რომელიც განსხვავდება როგორც ინდივიდის პირველი ენისაგან, ასევე შესასწავლი ენისაგან. ინტერენა ასახავს წესების სისტემას, რომელიც უვითარდება შემსწავლელს და წარმოადგენს სხვადასხვა პროცესის შედეგს, რომელიც მოიცავს პირველი ენის გავლენას (ტრანსფერს), საპირისპირო ჩარევას შესასწავლი ენის მხრიდან და ახლად მიღებული წესების განზოგადებას (გაბუნია და სხვ., 2008: 69, 117).

*ტრანსფერი* ანუ *გადატანა* - უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიაში აღნიშნავს პირველი ენის გავლენას შესასწავლ ენაზე. ტრანსფერის შედეგები შეადგენს ინტერენის ნაწილს (გაბუნია და სხვ., 2008: 117). ტრანსფერის ორ ძირითად სახეს გამოყოფენ: *პოზიტიური ტრანსფერი*, როცა პირველი ენის ლინგვისტური სტრუქტურები ან წესები გამოიყენება მეორე ენაში და მათი გამოყენება ადეკვატური და მართებულია მეორე ენისთვის. *უარყოფითი ტრანსფერი (ინტერფერენცია)*, როდესაც პირველი ენის ლინგვისტური სტრუქტურები ან წესები გამოიყენება მეორე ენაში და მათი გამოყენება არაადეკვატური და მცდარია მეორე ენისთვის. ენათა შორის გავლენები შეიძლება შეგვხვდეს პირველი ენის ყველა დონეზე: ლექსიკაში, წარმოთქმაში, გრამატიკაში, და ზოგადად ენობრივი სტრუქტურისა და მისი გამოყენების ყველა ასპექტში (სავილიე-ტროიკე, 2016: 18).

*კოდის ცვლა* (სხვაგვარად: კოდების გადართვა/ჩართვა ან ლინგვისტური კოდების მონაცვლეობა) ეს გახლავთ ორ ან მეტ ენობრივ სახესხვაობას შორის

ცვლილება ლაპარაკის ფარგლებში ან საუბრის ფარგლებში ერთი და იმავე მოლაპარაკის მიერ (გაბუნია და სხვ., 2008: 72). კოდების ცვლა არის მრავალი ნაირსახეობის სინტაქსურად და ფონოლოგიურად გამართული ხმარება. გადართვას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს დისკურსის სხვადასხვა ადგილზე. იგი შეიძლება მოხდეს წინადადებებს შორის (ინტერსენტენციური) ან ერთი წინადადების შიგნით (ინტრასენტენციური). კოდთა მონაცვლეობა განსხვავდება სიტყვასიტყვითი თარგმანისგან (კალკა), ინტერფერენციისა და ნასესხები სიტყვებისგან (გამჰერცი, 1982; ვულარდი, 2004; აუერი, 1984).

## **§2. ბილინგვიზმი, როგორც მრავალმხრივი და მრავალკომპონენტური მოვლენა**

როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, ბილინგვიზმი კომპლექსური ხასიათის მრავალფეროვანი მოვლენაა. იგი გვხვდება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, საზოგადოების ყველა ფენასა და ასაკობრივ ჯგუფში. ფაქტობრივად, ძნელია, მოიძებნოს საზოგადოება, რომელიც სრულიად მონოლინგვურია. ეს მოვლენა არსებობს მას შემდეგ, რაც კაცობრიობის ისტორიაში გაჩნდა ენა. ფაქტია, რომ არცერთი ენობრივი ჯგუფი არ არსებობს სხვა ენობრივი ჯგუფებისაგან იზოლირებულად. ენების ისტორიები სავსეა მაგალითებით, რომელთა მიხედვითაც ენათა კონტაქტების შედეგად ყალიბდება ბილინგვიზმის გარკვეული ფორმა. „ბილინგვალების რაოდენობა კი დღითიდღე იზრდება გლობალიზაციის და საერთაშორისო კომუნიკაციების განვითარების კვალდაკვალ. ბილინგვალები წარმოდგენილი არიან თემის, გაერთიანებებისა თუ მთელი რეგიონის სახითაც კი და არა იზოლირებულად. უმცირესობები, რომლებიც საუბრობენ უმცირესობათა ენებზე, ქმნიან ენობრივ თემებს” (ბეიკერი, 2010: 67).

მეტყ: დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით, რიჩარდ ტიკერი (Richard Ticker) ასკვნის, რომ თანამედროვე მსოფლიოში გაცილებით მეტი ბილინგვალი ან მულტილინგვალია, ვიდრე მონოლინგვალი. უფრო მეტიც, მსოფლიოში გაცილებით მეტი ბავშვია, რომლებმაც განათლება მიიღეს და აგრძელებენ ამ პროცესს მეორე ან მოგვიანებით ათვისებულ ენაზე, ვიდრე ისინი, ვინც ექსკლუზიურად პირველ ენაზე იღებენ განათლებას (სავილიე-ტროიკე, 2016: 8).

ბილინგვიზმი / მულტილინგვიზმი არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც იმავე უნარებისა და ცოდნის გამოყენება, რაც მონოლინგვიზმის დროს გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რიგი საინტერესო მსგავსებებისა პირველი და მეორე ენების ათვისებას შორის, ამ პროცესების გაიგივება დაუშვებელია, სწორედ ისე, როგორც მიუღებელია მოსაზრება, თითქოს ბილინგვიზმი/მულტილინგვიზმი მოიცავს ზუსტად იმავე უნარებსა და ცოდნას, რასაც მონოლინგვიზმი, მხოლოდ იმ განსხვავების დაშვებით, რომ აქ საქმე გვაქვს ორ ანდა მეტ ენასთან. ეს საკითხი ჯეროვნად აქვს განხილული ვივიან კუკის (Vivian Cook) თავის მულტილინგვიზური კომპეტენციის კონცეფციაში (მისი ტერმინია „მულტიკომპეტენცია“), სადაც აღწერს „ტვინის მდგომარეობას“, რომელშიც ინტეგრირებულია ორი ან/და მეტი ენის გრამატიკული სტრუქტურა (კუკი, 1991: 112).

ბილინგვიზმს, როგორც მრავალწახნაგოვან მოვლენას, ხაზს უსვამს ამერიკის შეერთებული შტატების განათლების მდივანის რიჩარდ რაილის (Richard Wilson Riley - US Secretary of Education) 1998 წლის 28 აპრილს გაკეთებული მიმართვა, სადაც მან განაცხადა, რომ „ბილინგვიზმი არის მნიშვნელოვანი ამჟამინდელ გლობალურ კულტურაში ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური თვალსაზრისით“ (ბეიკერი, 2010: 204).

## 2.1. გავრცელებული მითები და ფაქტები ბილინგვიზმის შესახებ

შესავალ ნაწილში უკვე აღვნიშნეთ, რომ მკვლევართა შორის გამუდმებით არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა ბილინგვიზმის პოზიტიურ თუ ნეგატიურ შედეგებთან დაკავშირებით. წლების განმავლობაში ბილინგვიზმის ირგვლივ არსებული გაუგებრობები კი, ხელს უწყობდა სხვადასხვაგვარი ისტორიისა თუ ცრურწმენის წარმოშობას, რომლებიც დროთა განმავლობაში მითებად გადაიქცა და ასე მოაღწია და გავრცელდა ჩვენში. ვფიქრობთ, რომ ამ ყველაფერს (მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანებში ძალზედ ხშირად საუბრობენ ბილინგვიზმზე), მივყავართ ერთ დასკვნამდე: საზოგადოებას ნათელი წარმოდგენა არ აქვს თუ რას ნიშნავს უპირველესად ეს ტერმინი, და საზოგადოდ, რა არის ბილინგვიზმის არსი (ბილინგვიზური განათლება, 2008: 2).

წარმოგიდგინო ბილინგვიზმის შესახებ მსოფლიოში გავრცელებული მითებიდან ხუთ ყველაზე ახლოს მდგარს ჩვენ საკვლევ თემასთან:

1. ორ ენაზე სწავლა ვნებს ბავშვის ფსიქიკასა და მისი ცოდნის დონეს აქვეითებს (ბილინგვური განათლება, 2008: 2);
2. ბავშვი, უპირველესად, ერთ ენას უნდა დაეუფლოს კარგად, რის შემდეგაც შესაძლებელი ხდება მეორე ენის სწავლება (ბილინგვური განათლება, 2008: 2);
3. ბავშვი, რომელიც ერთდროულად ორ ენას ეუფლება, საბოლოოდ, ვერც ერთ მათგანს გაითავისებს (ბილინგვური განათლება, 2008: 3);
4. სკეპტიკოსები მიიჩნევენ, რომ ბილინგვალებს გამუდმებით ექმნებათ საჭიროება, რათა თავიანთი აზრები თუ ფიქრები ერთი ენიდან, რომელიც ნაკლებად აქვთ ათვისებული, მეორე, უკეთ დაუფლებულ ენაში „გადაიტანონ“ (ბილინგვური განათლება, 2008: 3);
5. ბევრი აღნიშნავს, რომ ორენოვნება ან თუნდაც მრავალენოვნება კარგია, თუმცა - გამონაკლისი. და ასევე, დასძენენ, რომ ბილინგვიზმის მიღწევაში არსებობს ასაკობრივი საზღვრები, რომელთა უგულვებელყოფაც შეუძლებელია (ბილინგვური განათლება, 2008: 4).

თუმცა, რეალობა სულ სხვაა, რაც არაერთი ჩატარებული კვლევით მტკიცდება. ჩვენ მოკლედ შევეცდებით ზემოხსენებულ სკეპტიკურად განწყობილ მითებს რეალური კვლევის შედეგებით ვუპასუხოთ:

1. პირველ მოსაზრებას ეთანხმებოდა ბევრი ამერიკელი და ევროპელი მეცნიერი. ისინი ეყრდნობოდნენ კვლევას, სადაც ინტელექტის მაჩვენებლები შეადარეს მონოლინგვალ და ბილინგვალ ბავშვებს შორის და დაასკვნეს, რომ ბილინგვალ ბავშვებს ინტელექტის მაჩვენებლები გაცილებით დაბალი აქვთ და ეს შედეგი ბილინგვურ განათლებას დააბრალეს. ამ კვლევების უზუსტობა და მცდარობა დაამტკიცა თანამედროვე კვლევების სიზუსტემ, რომელიც გაცილებით მაღალია, ვინაიდან, დღეს ბილინგვიზმის შესწავლას გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობა, რაც განაპირობებულია გლობალური კავშირების გაფართოებითა და წმინდად მონოლინგვური საზოგადოების პოვნის დეფიციტით. კვლევებში ყურადღება გამახვილებულია ფსიქოლინგვისტურ და სოციოლინგვისტურ ფაქტორებზეც და

შესაბამისად, წინამდებარე მითს, რომელსაც გარკვეული კვლევები დაედო საფუძვლად, სრულიად საპირისპირო დასკვნებს უპირისპირებს (ბილინგვური განათლება, 2008: 2).

2. მეორე მითის წარმოდგენას ამსხვრევს ახალი პედაგოგიკის ფსიქოლოგია, რომელმაც დაამტკიცა, რომ ბავშვები, რომლებიც სწავლისთვის შესაფერის მყუდრო, მოსიყვარულე და მორალური მხარდაჭერით გაჟღენთილ გარემოში მეცადინეობენ, თავისუფლად ითვისებენ და ეუფლებიან ერთდროულად ორ ენას (ბილინგვური განათლება, 2008: 2);

3. მესამე გავრცელებული მცდარი წარმოდგენა უკავშირდება თვითიდენტიფიკაციის დაკარგვის საფრთხეებს, რაც გამოიხატება შემდეგში: ჩვეულებრივ, მონოლინგვალ მშობლები შიშობენ, რომ მათი ბილინგვალ ბავშვები მშობლებს გაუუცხოვდებიან და მათ შორის ემოციური და ფსიქოლოგიური ბზარები გაჩნდება. მსგავსი შიშები კი ძალზე იშვიათად ფიქსირდება ბილინგვალ მშობლებთან (ბილინგვური განათლება, 2008: 3);

4. კვლევები სკეპტიკოსების აზრს სრულიად უგულვებელყოფს და ამტკიცებს, რომ ბილინგვალ ინდივიდების პროცენტული უმრავლესობა ერთნაირად კარგად აზროვნებს ორივე ენაზე. ამგვარად, ფსიქოლინგვისტები ფიქრის დონეზე თარგმანის მექანიზმზე ბილინგვიზმთან მიმართებაში არც კი მსჯელობენ და განიხილავენ (ბილინგვური განათლება, 2008: 3);

5. ცხადზე ცხადია, რომ თანამედროვე სამყაროში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ადამიანების უმეტესობა ფლობს ერთ (მშობლიურ) ენაზე მეტ ენას და აბსოლუტურად რეალურია ის, რომ კავშირების ზრდასთან და იზოლირების კლებასთან ერთად, მონოლინგვიზმს მსოფლიო მასშტაბით მომავალი არ აქვს. რაც შეეხება ბილინგვიზმთან მიმართებით „არსებულ“ ასაკობრივ საზღვრებს, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ უამრავი მაგალითია ჩვენს ირგვლივ, რომელიც ადასტურებს და ცხადყოფს, რომ ენის ათვისებისთვის ასაკი არ არის ხელისშემშლელი ფაქტორი. რასაკვირველია, არავინ დაობს იმაზე, რომ ბავშვობის ასაკში გაცილებით მარტივია სწავლა, ვიდრე ზრდასრულობის ასაკში, რასაც სხვადასხვა ბიოლოგიური თუ ფიზიოლოგიური ფაქტორი განაპირობებს, თუმცა,

დიდი სურვილი, ნებისყოფა და შრომისუნარიანობა სრულებით საკმარისია იმისთვის, რომ მონოლინგვალური მშობლები თავიანთ შვილებთან ერთად მეცადინეობის შედეგად გახდნენ ბილინგვალური (ბილინგვური განათლება, 2008: 4; ჰოლმსი, 2001: 7-11).

არც თუ ისე იშვიათად ჯგუფის დონეზე ბილინგვიზმზე საუბრისას, მას მოიხსენიებენ, როგორც კონფლიქტისა და დაპირისპირების მიზეზს. მაშინ როცა, აღნიშნულის გამომწვევი მიზეზები პოლიტიკურ, ეკონომიკურ და რელიგიურ განსხვავებებში ვლინდება. ფიშმანმა 130 ქვეყნის მაგალითზე შეისწავლა სამოქალაქო ომებისა და დაპირისპირების მაგალითები და მივიდა დასკვნამდე, რომ „ლინგვისტური ჰეტეროგენურობა, თავისთავად, არ არის სამოქალაქო ომების გაჩაღების მიზეზი. ენის სამოქალაქო დაპირისპირების მიზეზად გამოცხადება უფრო მითია, ვიდრე რეალობა” (ფიშმანი, 1989: 622). სამოქალაქო დაპირისპირების მიზეზები შეიძლება იყოს: იგნორირება, ჩაგვრა, ავტორიტარული რეჟიმების არსებობა და სხვ. (ბეიკერი, 2010: 377). საქმე ის არის, რომ, ეს და მსგავსი მითებად ქცეული ცრურწმენები საზიანოა საზოგადოებისთვის, ვინაიდან ისინი ბილინგვიზმის არსის არარეალურ და არასაფუძვლიან გააზრებას ეფუძნება და სინამდვილესთან კავშირი არ აქვს (ბილინგვური განათლება, 2008: 4).

## 2.2. ბილინგვიზმის არსი

წლების განმავლობაში ბილინგვიზმის პრობლემა წარმოადგენდა მხოლოდ ლინგვისტიკის კვლევის საგანს, მაგრამ მისი კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე, იგი დღეისათვის, ლინგვისტიკის გარდა, ფსიქოლოგიის, ფსიქოფიზიოლოგიის და კიდევ მრავალი მეცნიერების კვლევის საგანს წარმოადგენს. ამ პრობლემის ირგვლივ არსებული საკითხები მკვლევართა შორის დღემდე იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. საკმაოდ ხშირია პროფესიონალებისა და ფსიქოლოგების მხრიდან რეკომენდაციები ბილინგვიზმის პოზიტიურ თუ ნეგატიურ შედეგებთან დაკავშირებითაც.

ბილინგვიზმის პრობლემა ტერმინების სიუხვიდან და ამ ტერმინების უზუსტობიდანაც ჩანს: პირველი / მეორე, ძირითადი / მეორეხარისხოვანი, თავისი /

სხვისი, სახლის, ოჯახის, მშობლიური, მთავარი, დომინანტი, შთამომავლობითი / შექმნილი, გარემოს ენა, დედის ან მამის ენა (აღნიშნული ტერმინების განმარტებები იხილეთ ზემოთ, გვ: 28-34). ამას გარდა, განასხვავებენ ძლიერ და უფრო სუსტ ენებს, ხოლო სასურველი არის დაბალანსებული ორენოვნება.

პირველი გამოკვლევები ბილინგვიზმში ჩაატარეს რონჟამ და ლეოპოლდმა (ლეოპოლდი, 1954: 19). ორენოვნების, როგორც მრავალასპექტოვანი მოვლენის პრობლემატიკა კი ასახულია მრავალ ცნობილ ლინგვისტთა (ე. სეპირი, ნ. ლეოპოლდი, ჯ. ანდერჰილი, ჯ. აშერი, ნ. ხომსკი, რ. ოუენსი, ვ. ვინოგრადოვი, ლ. შერბა, თ. გამყრელიძე და სხვ.), სოციოლინგვიტთა (ფ. სოსიური, შ. ბალი, რ. ბელი ნ. ლადარია და სხვ.), ფსიქოლოგთა (ჟ. პიაჟე, ლ. ვოგოტსკი, ნ. უორფი, ს. კრამენი და სხვ.) და პედაგოგიური მეცნიერების წარმომადგენელთა (ო. ახმანოვა, რ. ბუდაგოვის, რ. ვერეშაგინის და სხვ.) ნაშრომებში. ამ მხრივ, აღსანიშნავია, საქართველოში შესრულებული ნ. იმედაძის ნაშრომი (1979), რომლის მეორე ნაწილიც „ბილინგვიზმის ფსიქოლოგია“ მოიცავს ტიპოლოგიას, მოდელებს, და მის გააზრებას განწყობის თეორიის მიხედვით.

შედარებით სრულად, პირველმა ბილინგვიზმის ლინგვისტური ასპექტები დაამუშავა თავის მონოგრაფიაში „ენობრივი კონტაქტები“ (1979) ვაინრაიხმა. მანვე წამოაყენა შემდგომში საკმაოდ ცნობილი იდეა იმის შესახებ, რომ ბილინგვიზმი შეიძლება იყოს შედგენილი, როდესაც ორი ენის სისტემა ქმნის რაღაც ერთს; კოორდინაციული, როდესაც ორი ენის სისტემა შედარებით დამოუკიდებლად არსებობს; სუბორდინაციული, როდესაც მეორე ენის სისტემა შეიცნობა პირველის მეშვეობით. ეს კლასიფიკაცია ამჟამად აღარ არის აქტუალური, თუმცა, რიგ შემთხვევაში კარგად ახასიათებს სიტუაციურ სურათს, იქნება ეს მეორე ენის შესწავლის თუ ლინგვისტური განსხვავებების არსებობისა (ვაინრაიხი, 1979: 34).

როგორც ცნობილია, ბილინგვიზმი ნიშნავს ორი ენის ერთდროულ ფლობას და გამოყენებას კომუნიკაციის მიზნით. ამასთან, მათი გამოყენება ხდება სხვადასხვა საზოგადოებრივ გარემოში. საქართველოს ისტორია ისე აეწყო, რომ ბილინგვიზმი ყოველთვის იყო ჩვენი ცხოვრების თანმდევი მოვლენა: ქართულ-აზერბაიჯანული, ქართულ-სომხური, ქართულ-ბერძნული, ქართულ-რუსული, ქართულ-ირანული,



ქართულ-არაბული, ქართულ-თურქული და სხვ. ამგვარმა ურთიერთობამ საბოლოოდ უთუოდ გაამდიდრა ქართული ენა და იმავდროულად თვითშენარჩუნებისთვის საჭირო იმუნიტეტი გამოუმუშავა მას (ჯორბენაძე, 1997: 15).

მკვლევრები ორენოვნების ქვეშ გულისხმობენ პიროვნების, ადამიანთა ნაწილის ან მთელი ხალხის მიერ დაახლოებით ორი ენის თანაბრად თავისუფალ, აქტიურ ფლობას; თუმცა, მისი არსებობის კვალდაკვალ, თავს იჩენს არაერთი პრობლემური საკითხიც. იდეალური ორენოვანი ინდივიდები, რომელთა არსებობა ბლუმფილდს შესაძლებელი ეგონა, სინამდვილეში არ არსებობენ (ბლუმფილდი, 1993). ფაქტობრივად, ბილინგვალეები მათ მიერ შეთვისებულ ყოველ ენას იყენებენ განსხვავებულ სოციალურ კონტექსტში და არ შეუძლიათ მათ მიერ ათვისებული თითოეული ენა, ან თუნდაც ერთ-ერთი მათგანი ყველა შესაძლო კონტექსტში გამოიყენონ.

ენასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი კამათისას პირველ რიგში სახელდება, რომ ენა წარმოქმნის გარკვეულ პრობლემებს და სიძნელეებს. სწორედ ეს მოსაზრება ედო საფუძვლად ბილინგვიზმის შესახებ ადრეულ კვლევებს, რომელთა მიხედვითაც, ბილინგვიზმი ხელს უშლიდა **კოგნიტურ განვითარებას** (იხ. ბეიკერი, 2010: მე-7 და მე-8 თავები). აღსანიშნავია, რომ ბილინგვალეებს აქვთ ენისადმი შიში (შიზოგლოსია), რადგან ისინი გრძნობენ, რომ მათი მშობლიური ენა ვერ ჯდება უმრავლესობის მონოლინგვურ სტანდარტში (პავლენკო, 2005ბ).

რუიზი (1984) წარმოადგენს 3 (სამ) განსხვავებულ ხედვას ენასთან მიმართებით, კერძოდ: 1) **ენა, როგორც პრობლემა**; 2) **ენა, როგორც უფლება**; 3) **ენა, როგორც რესურსი**. თითოეული ხედვის განხილვის (დეტალური მიმოხილვა იხ. ბეიკერი, 2010: მე-17 თავი) შედეგად კი ასკვნის, რომ ენის მიდგომებს შორის არსებული სხვაობების მიუხედავად, მათ აქვთ გარკვეული საერთო მიზნები: ა) ქვეყნის ერთიანობა; ბ) ინდივიდუალური უფლებების დაცვა; გ) უმრავლესობის ენის ფლობა, რაც მნიშვნელოვანია ეკონომიკური შესაძლებლობებისთვის. საკამათო საკითხად რჩება, თუ რა არის საჭირო ამ მიზნების მისაღწევად: უმრავლესობის ენაზე მონოლინგვიზმი თუ სრულყოფილად განვითარებული ბილინგვიზმი (ბეიკერი, 2010: 375-383).

აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, რომ ბილინგვური განათლების ძლიერი ფორმები არ იწვევს ენობრივ პრობლემას. უფრო მეტიც, ამ პროგრამებში მოსწავლეები აღწევენ სათანადო ენობრივ კომპეტენციებს და შემდგომ მათი აკადემიური მიღწევებიც მაღალია. შესაბამისად, ქვეყანაში ვითარდება ადამიანური რესურსი, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. თვითრწმენის, თავდაჯერების და ამავე დროს მულტიკულტურალიზმის განვითარება კი ხელს უწყობს სოციალურ ჰარმონიასა და მშვიდობიან თანაარსებობას. ენის, როგორც პრობლემის მიდგომაში მთავარია, რომ ენობრივი განსხვავებები აღმოიფხვრას და ერთიანი კულტურა ჩამოყალიბდეს. ალბათ, უპრიანი იქნებოდა, ამ მიდგომის მიმდევრებს ეზრუნათ ენობრივი უმცირესობათა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე (ბეიკერი, 2010: 378).

ენისადმი მესამე მიდგომა ენას განიხილავს, როგორც ინდივიდუალურ, თემის და რეგიონალურ რესურსს. ბილინგვიზმის შედეგად მიიღწევა ინტელექტუალური (იხ. ბეიკერი, 2010: მე-7 თავი), კულტურული, ეკონომიკური, სოციალური, კომუნიკაციური (იხ. ბეიკერი, 2010: მე-19 თავი) და მოქალაქეობრივი განვითარება (ლო ბიანკო, 2001). ბილინგვიზმი სასარგებლოა როგორც ინდივიდისთვის, აგრეთვე თემისა და მთლიანად სახელმწიფოსთვის. ევროპაში მულტილინგვიზმისაკენ გაჩაღებული აქტიური მოძრაობა ჯდება ენისადმი მესამე მიდგომაში. ენობრივი უმცირესობების ენებიც განიხილება, როგორც კულტურული და სოციალური რესურსი. ამასთანავე, ენებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ საერთაშორისო ვაჭრობასა და ეკონომიკაში, განსაკუთრებით 21-ე საუკუნეში, ენა მნიშვნელოვანია **ინტერკულტურული კომუნიკაციისთვის**, მან განსაკუთრებული აქტუალურობა 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ შეიძინა (ბეიკერი, 2010: 381-382).

როგორც ზემოთ *ბილინგვიზმის ირგვლივ გავრცელებულ მითებზე* საუბრისას აღინიშნა, ჯგუფის დონეზე ბილინგვიზმს ხშირად უკავშირებენ ქვეყნის ერთიანობისა და კონფლიქტების გაჩაღების საფრთხესაც. შესაბამისად, ენა დანახულია, როგორც **პოლიტიკური პრობლემა**. აღნიშნული ხედვის მიხედვით, ენობრივი უმცირესობები და ენობრივი მრავალფეროვნება იწვევს ნაკლებ საზოგადოებრივ ინტეგრაციას და სოციალურ თანაცხოვრებას, მეტ ანტაგონიზმსა

და კონფლიქტებს (პარილო, 1996). ამ პრობლემის მოგვარება კი შესაძლებელია ენობრივი უმცირესობების უმრავლესობასთან ასიმილირების გზით (იხ. ბეიკერი, 2010: მე-18 თავი). ამავე მიდგომით, უმრავლესობის ენა არის ერთიანობის გარანტი. ამ იდეოლოგიის მინუსს წარმოადგენს იმ ფაქტზე თვალის დახუჭვა, რომ ენობრივი მრავალფეროვნების არსებობა და ქვეყნის ერთიანობაც ერთად შესაძლებელია (სინგაპური, ლუქსემბურგი, შვეიცარია). ენა, თავისთავად, ძალიან იშვიათად გამხდარა კონფლიქტის საფუძველი (ოთეგაი, 1982).

აქედან გამომდინარე, საჭიროა თანაბარი შესაძლებლობების შექმნა და, ასევე, განსხვავებულობის აღიარება, ერთი მხრივ, ეთნიკური უმცირესობების იდენტობის განვითარებისთვის ხელშეწყობა და, მეორე მხრივ, ეროვნული ერთიანობისა და სტაბილურობის ხელშეწყობა. მასწავლებლებმა ეფექტურად ლავირება უნდა შეძლონ და გამოიყენონ ენისადმი განსხვავებული დამოკიდებულებები აკრძალვიდან დაწყებული - ტოლერანტობამდე დამთავრებული და შეზღუდული ნებართვიდან დაწყებული - წახალისებით დამთავრებული (ბეიკერი, 2010: 375).

### **2.3. ბილინგვიზმი უმცროს სასკოლო ასაკში**

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ შემსწავლელი უფრო სწრაფად აღწევს მეორე ენის თავისუფლად ფლობის დონეს, თუ ის იმყოფება შესაბამის ენობრივ გარემოში და სკოლაში, მაგრამ თავისუფლად მეტყველების დონის ამაღლების მიუხედავად, საჭიროა სულ ცოტა ხუთი წელი (ზოგჯერ კი მეტიც), რომ იგი დაეწიოს ენის მატარებლებს ენის ფლობის ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით (კუმინსი, 1984ა; ჰაკუტა და სხვ., 2000).

კუმინსმა (1984ა) გამოიჩინა ენის ზედაპირული ცოდნა და ენის ფლობა საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობისთვის. კუმინსი (1981ბ, 2000) მიიჩნევს, რომ საბაზისო საკომუნიკაციო ენის შესასწავლად საჭიროა 1-2, ხოლო აკადემიური ენისთვის - 5-7 წელი. ასევე, ჰაკუტა და დი ანდრეა (1992), ჰაკუტა და მისი კოლეგები (ჰაკუტა და სხვ., 2000) და სპოლსკი და შოამიც (1999) მიიჩნევენ, რომ ენის სრულყოფილად დაუფლებისთვის 8, 5-7, ანდა 7-9 წელია საჭირო. ამგვარად,

მოსწავლეების აკადემიური წარუმატებლობები ენის არასაკმარისი ცოდნით აიხსნება (ბეიკერი, 2010: 178, 182).

არსებული ტესტები პრაქტიკულად არ იძლევა ინფორმაციას ზეპირი მეტყველების დონის შესახებ სასწავლო გარემოში. მათი დახმარებით შეიძლება შევაფასოთ მხოლოდ ყოველდღიური სასაუბრო ენის ფლობის დონე, ან მხოლოდ საბაზო გრამატიკული წესები. ზუსტი სურათის მისაღებად საჭიროა შემსწავლელთა უნარის შეფასების ისეთი ავთენტური საშუალებების გამოძებნა, რომლებიც ასახავდა სასწავლო მოთხოვნებს. გაგებისა და მეორე მხრივ, პროდუცირების უნარების შესაფასებლად უფრო უპრიანი იქნებოდა კლასში ჩატარებულ დაკვირვებებზე დაყრდნობა, ვიდრე ტესტებზე; ასეთ დროს, წამოიჭრება შემდეგი ძირითადი პრობლემები: როგორ განვასხვაოთ საგანთა ცოდნის შეფასება ენის ცოდნის შეფასებისგან? როგორ დავძლიოთ ზღვარი მაღალ კოგნიტურ დონესა და ე2-ის შეზღუდულ ჩვევებსა და უნარებს შორის? როგორ დავძლიოთ სხვაობა რეცეფციულსა და პროდუქტიულ უნარებს შორის საწყის ეტაპზე? როგორ აღვიქვათ ბილინგვიზმის სრული უპირატესობა (მაღალი კრეატიულობა, სოციალური კომპეტენცია, ტოლერანტობა, მოქნილობა და ა. შ.) (რიაგენი & ლიუდი, 2008: 73).

ბილინგვიური განათლების ხანგრძლივობა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მისი დაწყების დრო. როგორც ცნობილია, იმისათვის, რომ შემსწავლელი სრულყოფილად დაეუფლოს ე1-ს კოგნიტურ-თეორიულ დონეზე, საჭიროა წლები. იგივე უნდა ითქვას ე2-ის შესახებაც. ევროპაში იმიგრანტთა ბავშვების სწავლება გვიჩვენებს, რომ ე2-ის პროფესიული აკადემიური ფლობის პროცესი რთულდება, თუ ე1-ის კომპეტენციები არ არის სათანადო დონეზე ფორმულირებული. ამ ფაქტს ხსნიან იმით, რომ ორი და მეტი ენის ფლობა ურთიერთდამოკიდებულია (იხ. კუმინსი, 2000). ამგვარად, მეორე ენის დაუფლება მიმდინარეობს უფრო ეფექტურად, თუ პირველი ენის ბაზაზე კომპეტენციები მაღალ დონეზეა ჩამოყალიბებული (რიაგენი & ლიუდი, 2008: 45-47).

სხვადასხვა გარემოებიდან გამომდინარე, იკვეთება უფრო ფართო პლანის სოციოლინგვისტური და პოლიტიკური პრობლემები: როგორია ბილინგვიური განათლების გავლენა უმცირესობათა ენის შენარჩუნებაზე? უფრო მეტიც, იმ მოსწავლეთა ხანგრძლივი უარყოფითი აკადემიური შედეგები, რომლებიც

სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი არიან, მეტწილად უკავშირდება სტატუსისა და შესაძლებლობების პრობლემას, ვიდრე ლინგვისტურ ფაქტორებს; აქედან: ბილინგვური განათლების ნებისმიერი ფორმის შესაძლო ეფექტურობის შეფასების მთავარი კრიტერიუმი იქნება ის, თუ რამდენად მოხერხდება სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა თვითმყოფადობის გრძნობის შენარჩუნება და საზოგადოებაში მათზე მოთხოვნის შეგრძნების გაღვივება (რიაგენი & ლიუდი, 2008: 70-71). თუმცა, ბეიკერთან კვითხულობთ: „მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისთვის მნიშვნელოვანია, თუ რომელ პროგრამაზე (იხ. ბეიკერი, 2010: მე-10 & მე-11 თავები) სწავლობდა მოსწავლე და არა მისი წარმომავლობა ან სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი” (ბეიკერი, 2010: 208-209).

ბევრი მშობელი და თემი მიიჩნევს, რომ თუ ბავშვის განათლების პროცესში დიდი დრო ეთმობა მეორე და მესამე ენას, ამან შეიძლება იქონიოს უარყოფითი გავლენა ბავშვის პირველ ენაზე და მის ზოგად განვითარებაზე. მშობლიური ენის მნიშვნელობის შეგრძნება ეხმარება ადამიანს იმის განსაზღვრაში, თუ რა ადგილი უკავია მას საზოგადოებაში. ენა, როგორც ეთნიკური კუთვნილების თვალსაჩინო ნიშანი, ყველაზე ადვილად იქცევა ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის სიმბოლოდ და ძირითად თავისებურებად კონფლიქტურ სიტუაციაში. გამოკვლევები აჩვენებს, რომ კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნის მიზეზი ხდება არა ენა, არამედ სხვა პრობლემები. როდესაც სოციალური და პოლიტიკური ფაქტორები კონფლიქტის მიზეზი ხდება, ენები წარმოადგენენ მისი გადაწყვეტის საშუალებას (რიაგენი & ლიუდი, 2008: 9-13). შესაბამისად, ენობრივი უმცირესობის მოსწავლეთათვის სკოლა არის მნიშვნელოვანი სოციალიზაციის აგენტი, სადაც ნებისმიერ მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს, აითვისოს მშობლიური ენა სრულყოფილად (დათჩერი, 2004).

აქვე მოვიყვანთ UNESCO-ს ცნობილი ანგარიშიდან (1953) ციტატას, სადაც ხაზგასმულია სკოლის მიერ მშობლიური ენის სწავლების მნიშვნელობა: „აქსიომატურია, რომ ყველაზე კარგია სწავლების ენად მშობლიური ენის გამოყენება. ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც, მნიშვნელოვანია, რადგან ბავშვი ავტომატურად იაზრებს და უნარი აქვს, გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები, როცა პროცესი მისთვის ნაცნობ ენაზე მიმდინარეობს. სოციალური კუთხითაც არსებითია, რადგან ამ დროს

მოსწავლე საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენს საკუთარ თემთან. საგანმანათლებლო კუთხითაც, ის სწავლობს უფრო სწრაფად და კარგად მშობლიურ ენაზე, ვიდრე მისთვის უცხო ენაზე” (იუნესკო, 1953: 11).

აუცილებლად უნდა აღინიშნოს მშობელთა როლი, განწყობა და დამოკიდებულება არსებული მდგომარეობის ზუსტად და სწორად შეფასებისთვის. როგორც წესი, მშობელთა უმრავლესობას, პირველად უხდება შეხება ბილინგვურ განათლებასთან. მათ იზიდავთ ბავშვებისთვის ასეთი განათლების მიცემის პერსპექტივა, არსებული პირობებით სამომავლოდ შვილებისთვის უკეთესი მომავალი ესახებათ. მათი მცირე ნაწილი კიდევ უფრო შორეულ მომავალში ხედავს მშობლიური ენით სამშობლოში გზაგაკაფულ შვილებს. თუმცა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ყველა ერთხმად თანხმდება დამკვიდრებული სტერეოტიპის არსებობის უარყოფაზე, რომ „ბილინგვიზმმა შესაძლოა მოახდინოს ნეგატიური გავლენა მათი შვილების განათლებაზე” (რიაგენი & ლიუდი, 2008: 70), და მას არ აღიქვამენ, როგორც ბილინგვიზმის ერთ-ერთ უარყოფით ფაქტორად, არამედ მათი უმრავლესობა მოცემულ სიტუაციას პოზიტიურადაც კი აფასებს. ბავშვების ორ- და მეტ- ენოვნება მათი მშობლების გააზრებული არჩევანის შედეგს წარმოადგენს. აი, როგორ აყალიბებს ამას გერმანულ გარემოცვაში მცხოვრები ფრანგული ენის მატარებელი: „მე მინდა ჩემი შვილები იყვნენ ორენოვნები. არ ვიცი, რა შეიძლება კიდევ ვასწავლო მათ, მაგრამ იმ დღიდან, რაც ბაზელში დავსახლდი, მივხვდი, რომ ორი ენის ცოდნა ჩემთვის აუცილებელია” (რიაგენი & ლიუდი, 2008: 5-6).

ფაქტობრივად, ბილინგვურ განათლებას მშობლები ირჩევენ ყოველგვარი დახმარების გარეშე. ასე ხდება მონოლინგვური ქვეყნების უმეტესობაში, სადაც სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მშობლებს უწევთ ბავშვების შეყვანა სახელმწიფო სკოლაში და, ამასთანავე, ცდილობენ ოჯახში საკუთარი ენის შენარჩუნებას. იგივე ხდება მაშინაც, როდესაც სახელმწიფო ენა დომინირებს უმცირესობის ენაზე. სკოლა არ ზრუნავს მოსწავლის უფლებაზე მიიღოს დაწყებითი განათლება მშობლიურ ენაზე. აბსოლუტურად ნათელია, რომ ეს არ შეესაბამება ბილინგვური განათლების მიზნებს და, ფაქტობრივ, ეწინააღმდეგება ადამიანთა უფლებების ევროპის საბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების აზრს. (რიაგენი & ლიუდი, 2008: 5-6). მაშინ,

როცა „მნიშვნელოვანია, რომ სრული ძალისხმევა მივმართოთ, რათა ბავშვებმა შეძლონ მშობლიურ ენაზე განათლების მიღება... განათლების კუთხით, მნიშვნელოვანია, რომ რაც შეიძლება მეტ ხანს გაგრძელდეს სწავლების პროცესში მშობლიური ენის გამოყენება. სწავლის დაწყების პირველ ეტაპზე კი უმნიშვნელოვანესია, მოსწავლე მშობლიურ ენაზე სწავლობდეს, რადგან, კარგად გებულობს ამ ენაზე და ასევე, მშობლიურ ენაზე სწავლება ამცირებს იმ სტრესს, რაც მოსწავლეში ჩნდება ოჯახიდან სკოლაში შესვლის დროს” (იუნესკო, 1953: 47-48).

საინტერესოა საზოგადოებრივი აზრიც ბილინგვური განათლების ეფექტურობის შესახებ (ბეიკერი, 2010: 269): მონაწილეობითი დემოკრატიის ქვეყნებში, კვლევის შედეგებთან ერთად, ყურადღება ექცევა ამ კუთხით საზოგადოებრივი აზრის კვლევასაც (კრაშენი, 1999), თუ რამდენად უჭერს იგი მხარს ბილინგვური განათლების რეფორმას (კროუფორდი, 2004). კრაშენს (1999) წარმოდგენილი აქვს მოსახლეობის დამოკიდებულების არაერთი კვლევის ანალიზი, რომელთა მიხედვითაც მსგავს გამოკითხვებში მოსახლეობის 2/3 მხარს უჭერს ბილინგვურ განათლებას. აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სეპარატისტულ ბილინგვურ განათლებას (როცა სწავლების ენად მხოლოდ მშობლიური ენა გამოიყენება) არანაირი მხარდაჭერა არ აქვს. თუ კითხვა გულისხმობს, რომ ბილინგვური განათლება მოიცავს ორი ენის სრულყოფილად ფლობას, მაშინ ბილინგვური განათლების შესახებ პოზიტიური დამოკიდებულება ცალსახაა (ბეიკერი, 2010: 270-271).

ბილინგვური განათლების ეფექტურობის შესახებ ამერიკელ ექსპერტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ინგლისური ენის შესწავლაზე აქცენტირება მნიშვნელოვანია აკადემიური პროგრესის მისაღწევად. მათ აგრეთვე დაადგინეს, რომ მშობლიური ენის სწავლება არ უშლის ხელს ინგლისური ენის ათვისებას (ანგარიშგების ოფისი, 1987). ბრისკი (1998) წარმოადგენს სიტუაციურ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ბილინგვალი მოსწავლის აკადემიურ მიღწევებსა და ბილინგვური სკოლების ეფექტურობაზე. ავტორი გამოყოფს 5 სიტუაციურ ფაქტორს, რომლებიც გაზრდიან ბილინგვური განათლების პროგრამების ეფექტურობას: **ლინგვისტური, კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური** (ბეიკერი,

2010: 271). უმცირესობათა ენის სკოლაში სწავლით მოსწავლე იღრმავებს ოჯახში შექმნილ ენობრივ უნარებს და ასევე, უვითარდება პოზიტიური დამოკიდებულება მშობლიური ენის სტატუსის მიმართ, მოსწავლეებში თვითრწმენა და თვითდაჯერებაც მატულობს (უეშე და სკეანი, 2002; მეტი, 1998).

#### **2.4. ბილინგვალეზის უპირატესობა მონოლინგვალეზთან შედარებით**

ხშირად ენას შემეცნების ასპექტად მიიჩნევენ, რაც ჩვენ უეჭველად ადამიანებად გვაქცევს. ბოლო დრომდე ჩატარებული კვლევების უმეტესი ნაწილი პირველ რიგში განიხილავდა და ითვალისწინებდა მონოლინგვალეზი მოსაუბრეების ენობრივ შესაძლებლობებს. ამასთან, სამყაროს მონოლინგვური შეხედულების საწინააღმდეგოდ, მოსაუბრეების უმრავლესობა თავიანთ ცხოვრებას ერთზე მეტ ენაზე „ჟონგლიორობით“ ატარებს. აღწერის ბოლოდროინდელი მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში ბილინგვალეზის რაოდენობა ძალიან სწრაფად იზრდება: ევროპელების 56% ორენოვნად ითვლება (2006 წლის ევროკომისიის ანგარიში), კანადაში მოსახლეობის 35% ორენოვანია, აშშ კი მზარდ ტენდენციას 20%-იანი ბილინგვალეზით მიჰყვება (გროსიენი & ლი, 2012). იმის აღიარებამ, რომ მსოფლიოს მოლაპარაკეთა უმეტესობა ორენოვანია და რომ მრავალენოვან მოსაუბრეთა რიცხვი იზრდება, კვლევის ახალ სფეროებსა და მიმართულებებს დაუდო სათავე, რომლებიც ცდილობენ შეისწავლონ ის გზები, რომლებთა მეშვეობითაც ორენოვანი მართავს ერთზე მეტი ენის არსებობას ერთსა და იმავე გონებასა და ტვინში და ასევე, ბილინგვიზმს განიხილავენ, როგორც ობიექტივს, ენასა და შემეცნებას შორის არსებული კავშირის გასაგებად მთელი ცხოვრების განმავლობაში.

მკვლევრები ერთგვარ დასკვნამდე მივიდნენ, კერძოდ, რაც უფრო მაღალი ხარისხით ფლობს ბილინგვალეზი ორივე ენას, მით უფრო იზრდება კოგნიტური განვითარების შესაძლებლობა (კუმინსი & მალკაპი, 1978; დანკანი & დე ავილა, 1979; კესლერი & ქვინი, 1982; დოუ, 1982, 1983; კლარკსონი, 1992; კუმინსი, 2000ბ; ბიალისტოკი, 2001ა). შესაძლებელია საკითხის შემდეგნაირად დასმა: თუ რამდენად კარგად უნდა იცოდეს ორენოვანმა ორივე ენა, რომ ბილინგვიზმმა კოგნიტური და



სოციალური განვითარების თვალსაზრისით არა ნეგატიური არამედ პოზიტიური გავლენა იქონიოს პიროვნებაზე?

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია „ზღვრული დონის თეორიის“ (სხვაგვარად - „ზღურბლის თეორიის“) განხილვა. აღნიშნული თეორია პირველად გაჟღერდა ტაუკომაასა და სკუტნაბ-კანჯასისგან (1977) და კუმინსისგან (1976). მათ ენის ფლობა ორ საფეხურად დაყვეს, რომლებიც შესაბამისად მოქმედებდნენ კოგნიტურ განვითარებაზე. პირველი საფეხური გულისხმობდა ბილინგვიზმის იმ დონემდე მიღწევას, რაც საშუალებას მისცემდა ბავშვს ბილინგვიზმის ნეგატიური შედეგების თავიდან არიდება შეძლებოდა; ხოლო მეორე საფეხური გულისხმობდა მეორე ენის ფლობის ისეთ კომპეტენციას, რაც უზრუნველყოფდა ბილინგვიზმის პოზიტიურ შედეგებს. ისინი აგრეთვე არ გამორიცხავდნენ ბილინგვიზმის ისეთ დონეს, რომელიც უარყოფითად იმოქმედებდა ბავშვის კოგნიტურ განვითარებაზე. აღნიშნული თეორიის მართებულობა არაერთმა კვლევამ დაადასტურა, მაგალითად: ბიალისტოკი (1988), კლარკსონი და გალბრაიტი (1992), დოუ (1983) და კუმინსი (2000ბ). ზღვრული დონის თეორიასაც გააჩნია გარკვეული პრობლემები, რადგანაც იგი ზუსტად ვერ გამოყოფს, თუ რა ენობრივი კომპეტენციაა საჭირო, რომ ბავშვს არ ჰქონდეს ჯერ ნეგატიური შედეგები, ხოლო შემდგომ მიაღწიოს პოზიტიურ შედეგებს კოგნიტური განვითარების თვალსაზრისით განვითარებაზე (ბეიკერი, 2010: 175-177). ზღვრული დონის თეორიის ევოლუციური განვითარების გზაზე ვისაუბრებთ ცოტა მოგვიანებით *ბილინგვალ ბავშვში ენობრივი კომპეტენციების განვითარების* კუთხით წარმოდგენილ ვრცელ მიმოხილვაში.

როგორც ჩანს, ორ (ან მეტ) ენაზე მონიტორინგისა და კონტროლის ცხოვრებისეული უწყვეტი გამოცდილება საფუძველია ბილინგვალებისთვის ენისგან მთელი რიგი დამოუკიდებელი კოგნიტური მიღწევების წარმოსაჩენად (მაგ., მარტინ-რიი და ბიალისტოკი, 2008; ბიალისტოკი და სხვ., 2004). ამ პირველადი დასკვნების თანახმად, ორენოვნებამ შესაძლოა პოზიტიური როლი ითამაშოს შემეცნებითი რეზერვის (CR - Cognitive Reserve) განვითარებაში და გააძლიეროს რიგი აღმასრულებელი ფუნქციები, როგორცაა კონფლიქტების მონიტორინგი, შერჩევითი ყურადღება და მუშა მეხსიერება (როსი & დიაზი, 2016: 22).

ისრაელის მკვლევარი ბენ-ზეევი 1977 წელს ჩატარებული კვლევებით ადგენს, რომ ბილინგვალური ბავშვები ავლენენ გაცილებით მეტ ანალიტიკურ ორიენტაციას ენის მიმართ, ვიდრე მონოლინგვალური. მკვლევრის დასკვნა ასეთია: „იმისათვის, რომ ბილინგვალმა ბავშვმა შეძლოს ინტერენობრივი ინტერფერენციის დაძლევა, მას ამისთვის სჭირდება ანალიტიკური ინსტრუმენტები, ამის პარალელურად კი, ბილინგვალ ბავშვს უვითარდება ენისა და აღქმის ანალიტიკურად გააზრების უნარი” (ბენ-ზეევი, 1977ა).

მეოცე საუკუნის ადრეული 60-იანი წლებიდან ჩატარებული კვლევების ურავლესობამ გვიჩვენა, რომ ბილინგვალური სარგებლობენ უპირატესობით მონოლინგვალურებთან შედარებით (ბალკანი, 1970; ბენ-ზეევი, 1977ბ; ფელდმანი & შენი, 1971; იანკო-უორელი, 1972; ლიედკე & ნელსონი, 1968). ამ კვლევების შედეგები ზუსტ თანხვედრაში მოდის ბილინგვალური ბავშვების ენობრივი განვითარების ინდივიდუალური დაკვირვების შედეგებთანაც (იმედაძე, 1960; ლეოპოლდი, 1949). იმედაძე და ლეოპოლდი მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად, მივიდნენ დასკვნამდე, რომ ადრეული ბილინგვიზმი ბავშვს უვითარებს უნარსა და „ასაჩუქრებს” მას იმ შესაძლებლობით, რათა მოახერხოს სიტყვის ხმოვანებისა და მისი მნიშვნელობის განცალკევება, ვინაიდან, კონკრეტული ენობრივი ასპექტების მიმართ ყურადღების გამახვილება დამახასიათებელია ბილინგვიზმის ადრეულ ასაკში. ამავე აზრს ავითარებს ვიგოცკი: „ერთი და იმავე აზრის სხვადასხვა ენაზე გამოხატვა ბილინგვალ ბავშვს აძლევს საშუალებას, დაინახოს საკუთარი ენა, როგორც ერთ-ერთი ენობრივი სისტემა სხვა ენებს შორის, გააანალიზოს ამ ენის ფენომენი ზოგადი ენობრივი კატეგორიებით, რაც განაპირობებს ლინგვისტური ოპერაციების გაცნობიერებულ განხორციელებას” (ვიგოცკი, 1962: 110). კუმინსმაც (1978ბ) მრავალი მეთოდური ხერხის საშუალებით გამოავლინა მეტალინგვისტური უნარის უფრო სწრაფი განვითარება ორენოვან მოსწავლეებში (კუმინსი, 1978ბ).

ჩნდება კითხვა: როგორ ხდება ენის შერჩევა ორენოვან მეტყველებაში? მიუხედავად იმისა, რომ ბილინგვალური საუბრისას იშვიათად უშვებენ ენის შემთხვევით შეცდომებს, სასაუბრო წარმოებაზე ჩატარებული კვლევა იძლევა დამაჯერებელ არგუმენტს, რომ ორივე ენა აქტიურია, მაშინაც კი, როცა მხოლოდ ერთ

ენაზე ლაპარაკობენ (პოულისი, 1999). უფრო მეტიც, ორი ენის პარალელური გააქტიურება ახასიათებს მეტყველების დაგეგმვას მაღალკვალიფიციური ბილინგვალეებისთვის, ისევე როგორც მეორე ენის შემსწავლელთათვის. მიუხედავად იმისა, რომ ადრეული ენის შერჩევის ზოგიერთი შემთხვევა შეიძლება იყოს შესაძლებელი, მაგალითისთვის, როდესაც ბილინგვალეები, რომელთაც პირველი ენა (L1) უფრო ძლიერი აქვთ ვიდრე მეორე (L2), საუბრობენ ე1-ით (ბლუმი & ლა ჰეიჯი, 2003; ლა ჰეიჯი, 2005), ბილინგვური სიტყვის წარმოების უახლესმა კვლევებმა აჩვენა, რომ მხოლოდ ერთ ენაზე საუბრის განზრახვა საკმარისი არ არის მხოლოდ ამ ენაზე ალტერნატივების გააქტიურების შეზღუდვისთვის.

ბილინგვალის მეტყველების თვალსაჩინო ასპექტი ის არის, რომ გამოცდილი ბილინგვალეები არ უშვებენ ენის შემთხვევით შეცდომებს. ამავე დროს, მათ მარტივად შეუძლიათ კოდის გადართვა სხვებთან ერთად, რომლებიც ანალოგიურად ბილინგვალეები არიან (მაგ., მუისკენი, 2000; მაიერს-სკოტონი, 2002). ბილინგვალეებისთვის, რადგანაც თითოეულ ენაში მრავალი ალტერნატივა არსებობს, აბსტრაქტული კანდიდატების გააქტიურება შეიძლება მოხდეს ლემის (ანოტაცია) დონეზე ან ფონოლოგიურ კონკურენტებს შორის (კროლი და სხვ., 2008).

### **§3. მეტალინგვისტური ცნობიერება**

უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება ეთმობა ბილინგვალის ბავშვის მეტალინგვისტური ცნობიერების კვლევას (ბიალისტოკი, 2001ა, 2001ბ). ბიალისტოკი მეტალინგვისტურ ცნობიერებას შემდეგ განმარტებას უფარდებს: „მეტალინგვისტური ცნობიერება გულისხმობს ენობრივი სტრუქტურების გააზრებისა და მანიპულირების უნარს, როდესაც ენა არის აზროვნების ობიექტი და არა უბრალოდ წინადადებების ჩამოყალიბების და პროდუცირების ინსტრუმენტი” (ტუნმერი & ჰერიმანი, 1984: 12). მეორე ენის შემსწავლელს არ სჭირდება ძირითადი ენობრივი სტრუქტურების ხელახლა ათვისება, რადგან მათი ათვისება მოხდა მშობლიური ენის შესწავლისას (ბეიკერი, 2010: 162). ადრეულმა კვლევებმა დაადასტურეს ორენოვნებაში უფრო მაღალი მეტალინგვისტური ცნობიერება (იანკო-უორელი, 1972; ბენ-ზეევი, 1977ა, 1977ბ; აღნიშნული კვლევები იხ. ტუნმერი & მაიპილი, 1984).

### 3.1. მეტალინგვისტური ცნობიერების ძირითადი სახეები

მეტალინგვისტური ცნობიერება ან ენაში ფორმების მნიშვნელობის ზუსტი და შეგნებული ცოდნა, ჩვეულებრივ, ვლინდება როგორც ენის შესახებ აზრების ვერბალიზების უნარი, და იგი ერთ-ერთი საუკეთესო დოკუმენტირებული განსხვავებაა ბილინგვალებსა და მონოლინგვალებს შორის. ზოგადი დასკვნების თანახმად, მრავალ ენაზე მოსაუბრეებს მეტი ლინგვისტური ცნობიერება აქვთ და უფრო ადრეულ ასაკში ავითარებენ მას, ვიდრე ისინი, ვინც მხოლოდ ერთ ენაზე ლაპარაკობენ (იანკო-უორელი, 1972; ბენ-ზევეი, 1977; დიაზი, 1985; თომასი, 1988; გალამბოსი & გოლდინ-მიდოუ, 1990; გალამბოსი & ჰაკუტა, 1988; ბიალისტოკი, 1991; იელენდი და სხვ., 1993; რიჩიარდელი, 1992ა, 1992ბ). ასევე, კვლევების მიხედვით, რომლებიც ეხება ბილინგვიზმსა და მეტალინგვისტურ ცნობიერებას (ბიალისტოკი, 1987ა, 1987ბ, 1997, 2001ა, 2001ბ) აღმოჩნდა, რომ ორენოვან ბავშვს აქვს უპირატესობა ერთენოვან ბავშვთან შედარებით ლინგვისტური პროცესების კოგნიტური კონტროლის თვალსაზრისით (ბეიკერი, 2010: 162).

არსებობს მეტალინგვისტური ცნობიერების სხვადასხვა სახეობა, კერძოდ, **ლექსიკური** (ბენ-ზევეი, 1977; ბიალისტოკი, 1988; რიჩიარდელი, 1992/1992ბ), **სინტაქსური** (გალამბოსი & გოლდინ-მიდოუ, 1990; გაზექოლი, 1997; ბიალისტოკი, 1986), და **ფონოლოგიური ცნობიერება** (იელენდი და სხვ., 1993, ბიალისტოკი და სხვ., 2003), ასევე, **სემანტიკური ცნობიერება** (იანკო-უორელი, 1972) (სანზი, 2012: 3933).

დამახასიათებელი გამოხატვის საშუალებების ფსიქოლინგვისტური სირთულიდან გამომდინარე. ამრიგად, თითოეულ ენაზე ენობრივი ფორმების დაუფლების თანმიმდევრობა განსაზღვრული აღმოჩნდა არა მხოლოდ კოგნიტური განვითარების კანონზომიერებით, არამედ ფორმის ფსიქოლინგვისტური სიძნელე-სიადვილით. აღნიშნული ტერმინის გაგებისთვის, სლობინს (1999) შემოაქვს ცნება - გრამატიკული ფორმის „**პერცეპტული სიცხადე**“ (Perceptual Salience), რომელიც გულისხმობს ბავშვების ენობრივი გარემოდან ყველაზე ადვილად აღსაქმელ გრამატიკულ ფორმას. სწორედ ეს ორი ფაქტორი: *კოგნიტური განვითარება და ფსიქოლინგვისტური სიძნელე-სიადვილე* განსაზღვრავს იმ თანმიმდევრობას გრამატიკული ფორმების დაუფლებაში, რომელიც იდენტურია ყველა ამ ენაზე მოლაპარაკე ბავშვისათვის (იმედაძე, 1997: 8).

კუმინსმა მომდევნო ნაშრომებში (1984ა, 1984ბ, 2000ა, 2000ბ) განავრცო თავისი აკადემიურ / კოგნიტური ენობრივი უნარების მოდელი და ის შემდეგ სამ კომპონენტად დაყო: **1) კოგნიტური:** სასწავლო პროცესი უნდა მოითხოვდეს მაღალ კოგნიტურ უნარებს (შეფასება, დასკვნების გამოტანა, განზოგადება, კლასიფიკაცია); **2) აკადემიური:** სასწავლო გეგმა უნდა იყოს ინტეგრირებული ენის სწავლებაში, რათა მოსწავლემ შეისწავლოს აკადემიური დისციპლინებისთვის აუცილებელი ენა; **3) ენობრივი:** მოსწავლეს უნდა განუვითარდეს ორივე ენის ფლობის მაღალი დონე როგორც ლინგვისტური, აგრეთვე სოციოკულტურული (ენის გამოყენება, ენის სტატუსი) თვალსაზრისით (ბეიკერი, 2010: 181).

ეს თეორია შემდგომში კუმინსმა წარმოადგინა ორი განზომილების სახით, რომლებიც მნიშვნელოვანია ენის ფლობისთვის. **პირველი განზომილება** გულისხმობს, თუ რამდენად არსებობს გარემო, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეს ენის ათვისებაში. საკომუნიკაციო გარემო გულისხმობს, მაგალითად, ორი თანატოლის კომუნიკაციას, რომლებიც სრულყოფილად ვერ საუბრობენ ერთმანეთის ენაზე, მაგრამ ჟესტებით თუ სხვა არავერბალური საშუალებებით ახერხებენ ერთმანეთისთვის საკუთარი აზრის გადაცემას. **მეორე განზომილება** გულისხმობს, თუ რა ხარისხის კოგნიტური უნარებია საჭირო კომუნიკაციის დასამყარებლად. კომუნიკაციას, რომელიც მოითხოვს მაღალ შემეცნებას, ადგილი აქვს კლასში, ხოლო

დაბალი შემეცნების კომუნიკაციაა, როცა ინდივიდი ძალიან მარტივ სასაუბრო კომუნიკაციაში შედის სხვა ინდივიდთან ყოფით დონეზე (ქუჩაში, სტადიონზე და სხვ.). აღნიშნული თეორია არის გარკვეული მინიშნება ბილინგვური პროგრამების დასაგეგმად და გულისხმობს, რომ ბილინგვური განათლება იქნება წარმატებული, თუ მოსწავლეს აქვს განვითარებული საკმარისი ენობრივი კომპეტენცია, რათა შეზღუდული საკომუნიკაციო გარემოსა და მაღალი შემეცნების მოთხოვნის პირობებში შეძლოს სწავლა (ბეიკერი, 2010: 181-183).

### **3.2. კავშირები ენის ფლობასა და აკადემიურ მიღწევებს შორის**

განათლების ფსიქოლოგებსა და ფსიქოლინგვისტებს შორის, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულების განმავლობაში, არ წყდება კამათი იმის თაობაზე, თუ რა გავლენას ახდენს ენის ფლობის დონე მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე. შეთანხმების ვერ მიღწევის რამდენიმე მიზეზი არსებობს, მაგალითად, ენის ფლობის კონცეპტუალურ გააზრებაში არსებული განსხვავებები: **1)** რამდენად მიემართება ენის ზეპირმეტყველების უნარების განვითარება კითხვის უნარების განვითარებას (ველსი, 1981); **2)** რამდენად პირდაპირ კავშირშია სწავლასთან დაკავშირებული შეზღუდული შესაძლებლობები ენის ათვისებასთან დაკავშირებულ შეზღუდულ შესაძლებლობებთან (ველუტინო, 1979); **3)** რა დონის ურთიერთკავშირი არსებობს დაბალ სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსსა და ენის ათვისებას შორის (ლაბოვი, 1970).

ბილინგვური განათლების, მეორე ენის სწავლებისა და ტესტირების ასპექტებზე მსჯელობისას ერთ-ერთ ძირეულ დებატების საგნად იქცა საკითხი, თუ რა არის ენის ფლობა და ენათაშორისი კომპეტენციები. ამ საკითხით დაინტერესებული მკვლევრები (კანალე & სვეინი, 1980ბ; ოილერი, 1979) მიიჩნევენ, რომ ენის ფლობას ყველაზე მეტად კომუნიკაციური მიდგომა ასახავს, ამიტომაც გვირჩევენ, რომ მეორე ენის სწავლება რაც შეიძლება „კომუნიკაციური“ გავხადოთ. ზოგადად მიიჩნევა, რომ, როცა მოსწავლემ იცის სრულყოფილად ენა, მას შეუძლია დაძლიოს აკადემიური პროცესი. კუმინსი კი ამტკიცებს (კუმინსი, 1981ბ), რომ მოსწავლე შეიძლება ახერხებდეს წარმატებულ კომუნიკაციას საკომუნიკაციო გარემოს არსებობის პირობებში (ჟესტების, მინიშნებების პირობებში), მაგრამ აკადემიურ კონტექსტში

პრობლემა ექმნებათ, სადაც არასაკომუნიკაციო გარემოა შექმნილი და მნიშვნელოვანი კოგნიტური დონეა საჭირო (ანალიზი, შეფასება, სინთეზი, განხილვა და ინტერპრეტაცია). პირველი ენის გავლენის საკითხს მეორე ენის ათვისებაზე უკავშირდება რიგი საკითხებისა, რომლებიც დღემდე კამათის საგანს წარმოადგენს, მაგალითად, **1)** ბილინგვური განათლების გავლენა აკადემიურ მიღწევებზე; **2)** ასაკი, რომელიც ყველაზე ოპტიმალურად შეიძლება მივიჩნიოთ მეორე ენის ათვისება/სწავლების დასაწყებად; **3)** სახლში გამოყენებული ენის გავლენა აკადემიურ მიღწევებზე. ამ საკითხის გაანალიზება რომ შევძლოთ, პირველ რიგში „ენის ფლობის“ კონცეპტუალური გააზრება უნდა მოვახდინოთ.

მაშასადამე, რას მოიცავს *ენის ფლობის* კონცეპტუალური გააზრება? მეცნიერებს შორის დღემდე არ არსებობს აზრთა თანხვედრა, თუ რა მოიაზრება *ენის ფლობაში*. მაგალითად, ბარტმა, დალეიმ და ერნანდეს ჩავესმა (ბარტი და სხვ., 1976; ბარტი & დალეი, 1978) ჩამოაყალიბეს ენის ფლობის 64 მახასიათებელი, რომელთა გაზომვა შესაძლებელია ცალ-ცალკეც მოხდეს. დიამეტრალურად განსხვავებულ პოზიციებზე საუბრობს ოილერი (1978, 1979), რომელიც აღნიშნავს, რომ „არსებობს გლობალური ენობრივი კომპეტენციის“ განმსაზღვრელი ფაქტორი, რაც მნიშვნელოვანია თითოეული ენის ენობრივი კომპეტენციების როგორც განვითარებისთვის, ასევე მათი შეფასებისთვისაც (ოილერი, 1978: 413). ეს ფაქტორი კი უშუალო კავშირშია კოგნიტურ განვითარებასა და აკადემიური წარმატების შეფასების ინსტრუმენტებთან. ამასთანავე, იგი გამოიყენება ენობრივი უნარების - *წერა, კითხვა, მოსმენა და ლაპარაკი* - გასაზომად (კუმინსი & სვეინი, 2016: 108, 131).

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს ასპექტი მცირე თუ დიდი დოზით მოიცავს ენის ფლობას, დღემდე, ენის ფლობის საერთო დებულების ჩამოყალიბება მაინც შეუძლებლად რჩება. ზოგიერთი თეორეტიკოსი (ჩომსკი, 1972; ლენბერგი, 1967) კი, საერთოდ უგულვებელყოფს ინდივიდუალური განსხვავების არსებობას ენის ფლობის თვალსაზრისით. ისინი ამტკიცებენ, რომ ენის ფლობა გენეტიკური კომპეტენციაა, რომელიც ყოველ ადამიანს გააჩნია, გამონაკლისის სახით უშვებენ მხოლოდ აუტისტი და ძლიერი შეფერხებების მქონე ბავშვებს. ამ შეხედულებების



თანახმად, ზემოაღნიშნულ ავტორებთან კითხვითი უნარები მიეკუთვნება კოგნიტურ და არალინგვისტურ უნარებს.

რაც შეეხება ფსიქოლოგიურ შეფასებას, ის გახლავთ გადამწყვეტი კომპონენტი, რომელსაც შესწევს უნარი, რათა პასუხი გასცეს ყველა იმ სადავო საკითხს, რომელიც ბილინგვური განათლებისა და მეორე ენის ათვისების ჭრილში წარმოიშვება და რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ესენია: ა) რამდენად ზემოქმედებს ენის ზეპირმეტყველების უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება კითხვისა თუ სხვა აკადემიური უნარების განვითარებაზე; ბ) რამდენად პირდაპირ კავშირშია სწავლასთან დაკავშირებული შეზღუდული შესაძლებლობები ენის ათვისებასთან დაკავშირებულ შეზღუდულ შესაძლებლობებთან; გ) მეორე ენის კომუნიკაციურ უნარებსა და მეორე ენის სხვა უნარებსა და აკადემიური უნარების განვითარებას შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება; დ) მშობლიური ენის გავლენა მეორე ენის ათვისებაზე და ბავშვის ბილინგვიზმის გავლენა მოსწავლის აკადემიურ მიღწევებზე (კუმინსი & სვეინი, 2016: 132-134).

რაც შეეხება ბილინგვური/მულტილინგვური განათლების შესახებ ჩატარებული კვლევების შედეგებს, ისინი ძირითადად პოზიტიურად აფასებენ ბილინგვური სწავლების ეფექტს ბავშვის ენობრივი თუ კოგნიტური განვითარებისთვის (ბეკერმანი, 2005). სკუტნაბ-კანგასი და გარსია (1995) გამოყოფენ ბი/მულტილინგვური განათლების რამდენიმე პოზიტიურ ეფექტს: ა) კომპეტენცია ორ ან მეტ ენაში; ბ) განათლების თანაბარი შესაძლებლობები; გ) მულტიკულტურულობა და პოზიტიური დამოკიდებულება როგორც საკუთარი თავის, აგრეთვე სხვა განსხვავებული კულტურული ჯგუფების მიმართ. მიუხედავად კვლევების ასეთი პოზიტიური შედეგებისა, ბი/მულტილინგვური განათლების პოლიტიკა ერთ-ერთ ყველაზე საკამათო თემად რჩება განათლების პოლიტიკაში (ბეკერმანი, 2005).

ამგვარად, ენის შეძენაზე დაფუძნებული მიდგომები „ხაზს უსვამს არა მხოლოდ მოსწავლის შესაძლებლობას, რათა „გამოიწვიოს კატეგორიები და სქემები“, არამედ ლინგვისტური ცოდნის დინამიკურ შესაძლებლობებს”, რათა საპასუხოდ მოახდინოს მათი მუდმივი რესტრუქტურირაცია, და გამოიწვიოს ცვლილებები ორივეში:

როგორც შენატანში, ასევე, ზემოქმედება მოახდინოს შემსწავლელის სისტემაზე, რომელიც თავს იჩენს სხვა კატეგორიების ზრდის შედეგად” (ბოვერმანი & ჩოი, 2001: 498). მიუხედავად იმისა, რომ ლინგვისტური კატეგორიები და სქემები თავდაპირველად მხოლოდ ლოკალურია, როგორც ჩანს, აუცილებელია პოსტულატად მივიჩნიოთ, რომ მსგავსი კომუნიკაციური ფუნქციები თავიდანვე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ლინგვისტური კატეგორიების ჩამოყალიბებაში (მანდლერი, 1997; ტომაზელო, 2000: 73) (ბაიბი, 1991: 86).

საინტერესოა ის, რომ მეცნიერები აბსოლუტურად განსხვავებულ ჭრილში განიხილავენ ენის ფლობის საკითხს. ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ, რომ ენის ფლობის 64 კომპეტენცია არსებობს, რასაც იზიარებენ ოილერი და პერკინსი (ოილერი, 1979; ოილერი & პერკინსი, 1980). ისინი ასკვნიან, რომ არსებობს ენის ფლობის გლობალური ასპექტი, რომელიც ადამიანის ლინგვისტური, კოგნიტური და აკადემიური მიღწევების შედეგების განმსაზღვრელია. საკითხის ფსიქოლოგიურ ჭრილში გადაწყვეტით, ოილერი დასძენს: „ენის არსობრივი გამოყენებისთვის მნიშვნელოვანია პრაქტიკული გრამატიკის რეალური ფუნქციონირება” (ოილერი, 1979: 25). ენის ფლობასთან დაკავშირებით რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები აქვთ გამოთქმული სხვა მეცნიერებსაც, მაგალითად, ლაბოვს (იხ. ლაბოვი, 1973), ბრუნერს (იხ. ბრუნერი, 1975), ოლსონს (იხ. ოლსონი, 1980) და სხვ.

### თავი III. ბილინგვალ ბავშვთა მეტყველების თავისებურებების კვლევა ნარატივის მეთოდის გამოყენებით

#### §1. ნარატივის რაობა და მისი მნიშვნელობა

ნარატივის ფენომენს დისციპლინების ფართო სპექტრი იკვლევს, მათ შორის - ლინგვისტიკა, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ლიტერატურა, ისტორია და ფილოსოფია (ილუზ-ქოენი & ვოლტერი, 2012: 3).

სხვადასხვა ტიპის ნარატივი გვთავაზობს პლატფორმას ლინგვისტური შესაძლებლობების ფართო სპექტრის კონტექსტში შესასწავლად (შდრ. ჰიუზი და სხვ., 1997). ეს შესაძლებლობები ეხება სიუჟეტის სტრუქტურას, დისკურსის თავისებურებებს (მაგ. თანმიმდევრულობა და ურთიერთკავშირი), მორფოსინტაქსს, სინტაქსს, ლექსიკასა და ისეთ ცალსახად ბილინგვურ მოვლენებს, როგორებიცაა კოდის გადართვა და კროსლინგვისტური ინტერფერენცია. ბავშვთა ნარატივი ასევე წარმოადგენს მათი კოგნიტური, სემანტიკური და სოციალური შესაძლებლობების ინდექსს (ლილესი, 1993). მკვლევრებმა ნარატივის ანალიზი მიიჩნიეს, როგორც გამართული გზა კომუნიკაციური კომპეტენციის გამოსაკვლევად (ბოტინგი, 2002) და რომელიც ნაკლებად მიკერძოებული უნდა იყოს ბილინგვალ ბავშვების მიმართ, ვიდრე ნორმად მითითებული შეფასების ინსტრუმენტები (პარადაისი და სხვ., 2011). ზეპირი ნარატივები იძლევა მონაცემთა მდიდარ რესურსს (ინფორმაციის წყაროს) ბავშვის ენის გამოყენების შესახებ, შედარებით ბუნებრივ კონტექსტში. დაბოლოს, ნარატიული ანალიზი მკვლევრებს საშუალებას აძლევს, შეაფასონ მრავალი ენობრივი მახასიათებელი კონტექსტში - მათ შორის მაკროსტრუქტურა, სიუჟეტის გრამატიკული კატეგორიები, მიზნები, მცდელობები და შედეგები, ასევე, მიკროსტრუქტურის მახასიათებლები, მაგ. ლექსიკური მრავალფეროვნება, რელაციური და რეფერენციული აპარატი - შედარებით მოკლე ენის ნიმუშების გამოყენებით (ჰეილმანი და სხვ., 2010ა, 2010ბ) (გაგარინა და სხვ., 2016: 2).

ნარატიული უნარები მნიშვნელოვანია სკოლაში შემდგომი წარმატებისთვის, მაგ. წიგნიერებაში (წერა-კითხვის ცოდნა) და მათემატიკის ენის აღსაქმელად და გასაგებად (ბიშოპი & ედმუნდსონი, 1987; ბლისი & სხვ., 1998; მაკკეიბი, 1996; მაკკეიბი & როლინსი, 1994; ვალაჩი, 2008; ვესტბი, 1991). ისინი ქმნიან ხიდს ზეპირ ენასა და

წიგნიერებას შორის, ექსპოზიციის (გამომჟღავნება) უზრუნველყოფითა და გამოცდილების ფართო გამოყენებით, ასევე, კონტექსტუალიზებული, შეკრული დისკურსის ერთეულებისა და აბსტრაქტული ტექსტების მეშვეობით, რომელსაც ბავშვები მოულოდნელად შეეჯახებიან წერილობით ტექსტებში (ჰადლეი, 1998; ვესტი, 2005). კადერავეკისა და სალზბის (2000) ასევე, ოქილისა და კეინის (2007) თანახმად, კითხვის გაგებას ფესვები აქვს ნარატივის დისკურსის გააზრებაში, რომელიც ერთდროულად ვითარდება სხვა, ადრეულ და უპირატეს ენობრივ უნარებთან ერთად კითხვის ოფიციალური სწავლების დაწყებამდე. ამბის გადმოცემის უნარი აკავშირებს ზეპირი ენის ცოდნას წერა-კითხვის ცოდნასთან, იმ დროიდან, რაც ის მოითხოვს, რომ ბავშვებმა დაგეგმონ, წარმოადგინონ და შექმნან კონტექსტუალური და შეკრული დისკურსი. ინტერვენციულმა კვლევებმა აჩვენა, რომ უშუალოდ თხრობის უნარების სწავლება აუმჯობესებს ზეპირი ნარატივის გაგებასა და წარმოებას, ისევე, როგორც კითხვის გააზრებას (ჰეივორდი & შნაიდერი, 2000; სვანსონი და სხვ., 2005). უფრო მეტიც, ნარატივის შესაძლებლობები მაკროსტრუქტურის დონეზე, ანუ დამაკავშირებელ მოვლენათა თანმიმდევრული შემადგენლობა ასახავს შესაძლებლობებს, რომლებიც სცილდება ერთი ენის სპეციფიკას. ამრიგად, ნარატივების შეფასება განსაკუთრებით მიზანშეწონილია ბილინგვალი ბავშვებისთვის: „ენობრივი ამოცანები, რომლებიც საჭიროებს შემეცნებით კომპონენტს, შეიძლება ნაკლებად მიკერძოებული აღმოჩნდეს ორენოვანი ბავშვების მიმართ, რადგან შემეცნებითი კომპონენტი შეიძლება ენის ზოგადი შესაძლებლობების გამოყენება იყოს” (პარადაისი და სხვ., 2011: 221).

### **1.1. ისტორიული რაკურსი ნარატივის გარშემო**

*ნარატივების მრავალენოვანი შეფასების ინსტრუმენტი* (MAIN) (გაგარინა და სხვ., 2012) შეიქმნა 3-დან 9 წლამდე ბილინგვალი ბავშვების ნარატივის წარმოებისა და გაგების შესაძლებლობების შესაფასებლად. ეს დიზაინი და მისი თანმხლები კვლევითი პროგრამა მოიცავს ნარატივის გამოვლენას ორი მეთოდით: 1) ამბის

მოყოლა / თხრობა<sup>7</sup> (ამბის შეთხზვა);<sup>8</sup> და 2) ამბის განმეორებით თხრობა,<sup>9</sup> ისევე, როგორც მაკროსტრუქტურის კომპონენტებისა და შინაგანი მდგომარეობის პირობების გააზრების შეფასება. დიზაინი ითვალისწინებს კიდევ ერთი შესაძლო მეთოდის არსებობას: სიუჟეტის თხრობა ნიმუშის მოსმენის შემდეგ, რომელიც სტრუქტურით ანალოგიურია, შინაარსით კი განსხვავდება მოთხრობილი ამბისგან. ამრიგად, ნიმუშის სიუჟეტი წარმოადგენს ამბის გადმოცემის პროცედურის ვარიანტს. ამასთან, ფონური/ბექრაუნდის შეკითხვების ნაკრები (გაგარინას და სხვების საფუძველზე, 2010) წარმოადგენს შეფასების პროცედურების ნაწილს, რათა გვიჩვენოს ბავშვის მიერ ინფორმაციის შენატანის ხარისხი და რაოდენობა ორივე ენაზე. მასტიმულირებელი ნახატები / სურათები და ხელნაწერები მოიცავს ნარატივის დისკურსის მაკროსტრუქტურის, მიკროსტრუქტურისა და შინაგანი მდგომარეობის მახასიათებლების კომბინაციას, რათა გამოიკვლიოს საგნის დიზაინის ფარგლებში თითოეული ბავშვის შესრულება კროსლინგვისტურად (გაგარინა და სხვ., 2016: 2-3).

## 1.2. სტრუქტურული და ფუნქციური მიდგომები, როგორც ძირითადი საყრდენები ნარატივის კვლევის დროს

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნარატივების კვლევას სწავლობს სხვადასხვა დისციპლინა (ილუზ-ქოენი & ვოლტერი, 2012: 3). ენათმეცნიერების და ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის მოდელები (სტეინი & გლენი, 1979; ბერმანი & სლობინი, 1994; რავიდი & ბერმანი, 2006) მიდრეკილნი არიან სტრუქტურისკენ, ხოლო სოციოლინგვისტიკის, დისკურსის ანალიზისა და ფსიქოლოგიის თვისებრივი მიდგომებისკენ უფრო ფუნქციონალური მიდგომები იხრება (მაგ. ბრუნერი, 1990; ბამბერგი, 1997; ტომაზელო, 2003). ლაბოვი (1967, 1972; ლაბოვი & ვოლეკვი, 1997) იღებს საუკეთესოს ორივე მოცემულობიდან. მიუხედავად იმისა, რომ მას ზოგჯერ ადანაშაულებენ ზედმეტად სტრუქტურულობაში (მაგ. ბამბერგი, 1997) და იმაში, რომ ის ნარატივს (თხრობას) ხედავს, როგორც მხოლოდ სხვა ინტერესების პლატფორმას,

<sup>7</sup> ინგლისურ ტექსტში მოხსენებულია შემდეგნაირად: "story telling";

<sup>8</sup> ინგლისურ ტექსტში მოხსენებულია შემდეგნაირად: "story generation";

<sup>9</sup> ინგლისურ ტექსტში მოხსენებულია შემდეგნაირად: "story retelling".

როგორცაა, მაგალითად, ნატურალისტური მონაცემების შეგროვება; ლაბოვის ჩარჩო და ანალიზის მეთოდები მათ შორის მაინც ყველაზე სრულყოფილია, მოიცავს რა ნარატივის ორივე, როგორც სტრუქტურულ, ისე პრაგმატულ მახასიათებლებს. ამ ნაწილში თავდაპირველად მოცემულია თხრობის გრამატიკული ჩარჩოს *სტრუქტურული* და *ფუნქციონალური* ელემენტები, შემდეგ აღწერილია ბერმანის (2008) მოდელის ძირითადი პრინციპები, ბოლოს კი მოცემულია ლაბოვის მოდელის მიმოხილვა და ასახულია მისი ერთ-ერთი ფუნქციური ასპექტი ანუ შეფასება (ილუზ-ქოენი & ვოლტერი, 2012: 3-4).

სიუჟეტის გრამატიკები პირველად გამოიკვლიეს (მაგ. სტეინი & გლენი, 1979) ტრანსფორმაციული გრამატიკების ტრადიციული ხერხით, რათა ნაჩვენები ყოფილიყო დისკურსის იერარქიული და გენერაციული ხასიათი წინადადების ტიპის ანალიზის მიღმა (ილუზ-ქოენი & ვოლტერი, 2012: 3-4).

რავიდის (რავიდი & ბერმანი, 2006) კროსლინგვისტური კვლევითი პროგრამის საფუძველზე, ბერმანი (2008) წარმოგვიდგენს „გლობალური ტექსტის აგების“ მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ინფორმაციის ოთხ წყაროზე, რომელთაგან ორს ძლიერი ფესვები აქვს ლინგვისტიკის სტრუქტურულ ასპექტებში, დანარჩენ ორს კი - სემანტიკასა და დისკურსში. ეს ოთხი წყაროა: **1)** რეფერენციული შინაარსი, რომელიც განასხვავებს თანაბარ, აღწერით ანუ თვალსაჩინო და ინტერპრეტაციულ ინფორმაციას და გაზომილია შინაარსისა და „დამხმარე“ მასალის ფარდობითი პროპორციით (მაგ. განმეორებით, ყალბი სტარტებით, დისფლუზიითა და დისკურსის ნიშნით); **2)** კომბინირებული წინადადება აერთიანებს რთულ სინტაქსს, სახელწოდებით "სინტაქსური შეფუთვა" (ბერმანი & სლობინი, 1994), რომელიც აკავშირებს ადგილობრივი დონის ერთეულებს (პუნქტებს) „თემატურ, თემებზე-დაფუძნებულ“ კომპონენტებთან; **3)** ლექსიკური და ქვედა დონის სინტაქსური ინფორმაცია, სიტყვის სიგრძის, ლექსიკური მრავალფეროვნების, კონცენტრაციისა და აბსტრაქტულობის ჩათვლით, ასევე წინადადების შიდა სირთულე (მაგ. კონცენტრაცია, არსებითი სახელის ფრაზის სიმძიმე (ინერტულობა), ჩასმა, ვნებითი გვარი, გამოთქმის სიგრძე, წინდებულიანი / თანდებულიანი ფრაზების სიხშირე); **4)** დისკურსის პოზიცია - შემოთავაზებული, როგორც მოდელის ინტეგრაციული

კომპონენტი, რომელიც მოიცავს ორიენტაციას ან პერსპექტივას (ე.ი. „მოლაპარაკე-მწერალი, მსმენელი-მკითხველი ან ტექსტზე ორიენტირებული“), დამოკიდებულებასა (მითითებულია, როგორც აფექტური, დირექტივისა და ინსტრუქციის მიმცემი ან ეპისტემიკური ანუ შემეცნებითი) და ”მითითების / ცნობარის განზოგადებას” (დექტური / უშუალოდ დამამტკიცებელი ან ანაფორული, სპეციფიკური ან ზოგადი, კონკრეტული ან აბსტრაქტული). სტრუქტურული ინფორმაცია შეფასებულია წინადადების პირობებში ლექსიკური და მორფოსინტაქსური მახასიათებლების მიხედვით, მაშინ როცა რეფერენციული შინაარსისა და დისკურსის პოზიციის აღმწერი კომპონენტები ფუნქციურად არიან შერწყმული და კომბინირებული (ილუზ-ქოენი & ვოლტერი, 2012: 4-5).

ლაბოვი, რომელიც ნარატივებზე მუშაობას შეუდგა, ავთენტური მონაცემების შეგროვების ინტერესიდან გამომდინარე, ენობრივი ვარიაციისა და სოციოლინგვისტიკის ბგერითი ცვლილებების შესასწავლად (ლაბოვი, 1972) გამოყოფს სკრუპულოზურ დეტალებს ნარატივის ორივე, როგორც სტრუქტურული, ისე ფუნქციური ასპექტების შესახებ. მისი მოდელი განსაზღვრავს ოთხ სტრუქტურულ კომპონენტს (აბსტრაქცია / განყენება, ორიენტაცია, (მო)ქმედების გართულება და რეზოლუცია / კოდა) რვა ფუნქციურ კატეგორიასთან ერთად: დროებითი ორგანიზაცია, შეფასება, მოხსენება, ალბათობა, მიზეზ-შედეგობრიობა, ქება-დიდების განაწილება და გაკიცხვა/დადანაშაულება, თვალსაზრისი/ხედვა და ობიექტურობა. ილუსტრაციის გზით, ლაბოვის წარმოდგენა და შეხედულება „შეფასებაზე” განმარტავს ზოგიერთ მსგავსებას სხვადასხვა ნარატიულ მიდგომასა თუ მეთოდში. იგი განსაზღვრავს „შეფასებას”, როგორც „ინფორმაციას მოვლენის შედეგების შესახებ ადამიანის საჭიროებებისა და სურვილებისთვის” და როგორც კონკრეტული მაგალითი მოცემულია პუნქტებში, რომლებიც შეიცავს მახვილს / აქცენტს, პარალელიზმს და შედარებით ხარისხებს, განსაკუთრებით მოდალურ ზმნებს, უარყოფით წინადადებებსა და მომავალ დროებს. ამ განმარტებას აქვს ზედაპირული მსგავსება თხრობის გრამატიკული „შედეგების” კატეგორიასთან და კვეთს რეფერენციულ / ორიენტირებულ (თანაბარი ინფორმაცია) და დისკურსის პოზიციის კომპონენტებს ბერმანის მოდელში, მაგრამ ჩვენ შორს წაგვიყვანს ფორმასა

და ფუნქციას შორის კავშირის დაზუსტება, კონკრეტიზაცია და მისი სოციალური როლის შეფასება, რომელიც ნარატივის როლს თამაშობს. ასევე, ლაბოვის მოდელი იძლევა საშუალებას, რათა თხრობის მეთოდი (ნარატივი) გამოყენებულ იქნეს ბავშვებში როგორც სოციალური როლებისა და ურთიერთობების გააზრების ფანჯარა (ილუზ-ქოენი & ვოლტერი, 2012 :5).

### 1.3. დისკურსის სტრუქტურა და კროსლინგვისტური ტრანსფერი

თეორიული ინტერესი, რომელიც ლიტერატურათმცოდნეობიდან მომდინარეობს, საფუძვლად უდევს ენის გამოყენებასა და დამუშავებას. სამუშაო ჰიპოთეზა არის ის, რომ სიუჟეტის სტრუქტურა<sup>10</sup> უცვლელი უნდა იყოს ბილინგვალი ბავშვის ორივე ენის არსებობის პარალელურად და ადვილად, მარტივად და მყისიერად უნდა წარმართავდეს კროსლინგვისტურ ტრანსფერს, მაშინ, როცა ლექსიკური და მორფოსინტაქსური შესაძლებლობები უფრო სპეციფიკური უნდა იყოს ენისთვის და ნაკლებად მიდრეკილი ტრანსფერისკენ (ილუზ-ქოენი & ვოლტერი, 2012: 5-6).

ენათა შორის გავლენები, ანუ წინარე ცოდნის პირველი ენიდან მეორე ენაში ტრანსფერი, ერთ-ერთი იმ პროცესთაგანია, რომელიც ენათაშორის განვითარებაში გარკვეულ როლს თამაშობს. პოზიტიური ტრანსფერი აადვილებს მეორე ენის შესწავლას, რადგან პირველი ენის იმ ენობრივი სტრუქტურებისა და წესების შესწავლა აღარ არის საჭირო, რომლებიც მეორე ენისათვისაც გამოსადეგია. ცოდნისა და უნარების მეორე ენის გარემოში ტრანსფერი ცალსახად უფრო ადვილია, როდესაც ადამიანს აქვს ეს ცოდნა პირველ ენაზე და როდესაც ამ ენებში ძირითადი ტერმინები საერთოა. თუმცა, კონცეპტუალურ ტრანსფერს ადვილი აქვს ნებისმიერ შემთხვევაში. სოციალური ინტერაქციისათვის საჭირო მრავალი უნარი, რომლებიც ადამიანს განვითარებული აქვს პირველ ენაზე, ხშირად გადადის მეორე ენაში. ეს ხშირად პოზიტიურ ტრანსფერს განაპირობებს და აიოლებს მეორე ენის განვითარების

---

<sup>10</sup> ინგლისური ტექსტიდან "story structure" ნაშრომში თარგმნილი გვაქვს, როგორც „სიუჟეტის ან მოთხრობის სტრუქტურა“, ხოლო "narrative structure" - როგორც „ნარატივის სტრუქტურა“.



პროცესს, თუმცა, ზოგი მათგანი შეუსაბამოა მეორე ენის კონტექსტისათვის (სავილიე-ტროიკე, 2016: 18-19).

პირსონმა (2002) გამოიკვლია, რამდენად „მკაფიოა“ ზეპირი ენის ცოდნა და თხრობის უნარი. მან და მისმა კოლეგებმა გააანალიზეს „ბაყაყის ამბავი“<sup>11</sup> 240 მონოლინგვალ და ბილინგვალ ბავშვთა მონათხრობებით მე-2 და მე-5 კლასებიდან, სადაც ნარატივის შეფასებით დათვლილია „ენისა“ და (დაფუძნებული: მეტყველების სიმწყობრე-შეუფერხებლობაზე, ლექსიკურ მარაგსა და მორფოსინტაქსზე) „სიუჟეტის“ ელემენტები (სიუჟეტის სტრუქტურა, ორიენტაცია, ინფორმაციის დინება, შეფასებითი/აფექტური ინფორმაცია, მეტაკოგნიტური დებულებები და დროებითი კავშირები) (ილუზ-ქოენი & ვოლტერი, 2012: 5-6).

აღნიშნული კვლევის ყველაზე დიდ ინტერესს წარმოადგენდა საგნობრივი კომპეტენციის ფარგლებში კროსლინგვისტური შედარებები ბილინგვალ ბავშვებში. ამ კონტექსტში კომპოზიციურმა (კომბინირებული, შედგენილი) ნარატიულმა შეფასებამ (ან ქულათა ჯამმა) აჩვენა კორელაციის მაღალი ხარისხი ენების პარალელურად, ხოლო „ენის“ მაჩვენებელმა - ვერა. პირსონი (2002) ასკვნის, რომ, როგორც ჩანს, ბავშვებს შეუძლიათ მოახდინონ სიუჟეტის ელემენტებისა და რთული სინტაქსის გადატანა ანუ ტრანსფერი ერთი ენიდან მეორეზე, მაგრამ მცირეა ლექსიკისა ან/და მორფოსინტაქსის ცოდნის გადაცემის მოცულობითი წილი. პრაქტიკული თვალსაზრისით, ერთ ენაზე შეძენილ თხრობის უნარ-ჩვევებს ბავშვი იყენებს მეორე ენაშიც, მაშინ როცა, „ლექსიკა, როგორც ჩანს პუნქტობრივად უნდა იქნეს შესწავლილი და თითოეულ ენაზე ცალ-ცალკე უნდა გაკეთდეს“ (პირსონი, 2002: 172). პირსონის კვლევა წარმოადგენს გაცილებით რთულ სურათს, რომელიც გამოხატავს ძლიერ მხარდაჭერას ნარატიული უნარების კროსლინგვისტური გადაცემისთვის, თუმცა, ამის ნაკლებობას განიცდის ლექსიკისა და მორფოსინტაქსისთვის (ილუზ-ქოენი & ვოლტერი, 2012: 6).

ფიესტამ და პენამ (2004) ძირითადად ყურადღება გაამახვილეს ბილინგვურ-მონოლინგვურ განსხვავებებზე, რის თანახმადაც, ბილინგვალი ბავშვები ყვებოდნენ თანაბარი სიგრძისა და სირთულის ისტორიებს. თხრობის გრამატიკულმა ანალიზმა

---

<sup>11</sup> იგულისხმება "Frog, where are you?", რომელიც ნაშრომში გამოყენებული გვაქვს შემდეგი ფორმითაც: „ბაყაყის მოთხრობა“.

აჩვენა, რომ სიუჟეტის გრამატიკულ კატეგორიებში არსებული კროსლინგვისტური სხვაობები გამოიყენება თითოეულ ენაში; ავტორები ასკვნიან, რომ მათთვის ბილინგვალური ბავშვებისთვის ნარატივში ინფორმაციის მოცულობა არის "ურთიერთდაკავშირებული უნარი ორივე ენაში" (ფიესტა & პენა, 2004: 163).

უჩელმა და პაეზმა (2007) გამოიყენეს „სურათის წაკითხვის“ დავალება, რათა შეესწავლათ ურთიერთკავშირები ლექსიკურ შესაძლებლობებს შორის (ლექსიკური მრავალფეროვნება / აბსოლუტურად განსხვავებული სიტყვები; პროდუქტიულობა / სიტყვების და სტანდარტიზებული ლექსიკის საერთო რაოდენობა), თხრობის შესაძლებლობები (როგორც ეს შეფასებულია სიუჟეტის გრამატიკული კატეგორიებით, ამბის თანმიმდევრულობით და აფექტით/ემოციური რეაქციით) და ნარატივის ხარისხი (ეფუძნება პირსონის 2002 წლის კვლევას), რომელიც აერთიანებდა თხრობას (სიუჟეტების გრამატიკული კატეგორიები, ამბის თანმიმდევრობა და აფექტი) და ენობრივ შესაძლებლობებს (რთული სინტაქსი, (არსებითი) სახელის ლექსიკა და საკითხის სიცხადე) (ილუზ-ქოენი & ვოლტერი, 2012: 7).

უფრო დეტალურად რომ წარმოვადგინოთ, ორენოვანი ბავშვები „მარტივ“ ზმნებს იყენებენ, როგორცაა „კეთება, მიღება, გაკეთება“ - make, get, do (კაუფმანი, 2001; ვაიბერგი, 2001). ეს ფენომენი შეიძლება დაკავშირებული იყოს ადრეული ასაკის ბილინგვალთა ლექსიკურ წვდომასთან ან მათი განვითარების დონესთან, რაც ხაზს უსვამს მონოლინგვური განვითარებისგან ბილინგვური განმასხვავებლის სირთულეს. გარდა ამისა, კაუფმანი იუწყება, რომ ორენოვანი ბავშვები, რომლებსაც თხრობის დასაწყისში არ ახსოვთ ან არ იყენებენ კონკრეტულ ლექსიკურ ერთეულს ერთ ენაზე, შეიძლება მოგვიანებით გამოიყენონ (კაუფმანი, 2001: 335).

ბილინგვური ნარატივების ფარგლებში განხილული ერთ-ერთი საკითხია ლექსიკისა და გრამატიკის ურთიერთმიმართება თხრობის წარმოებაში. ერთ-ერთ კვლევაში იმ რამდენიმე ჩატარებული კვლევიდან, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს ბილინგვალმა ბავშვებმა მეტყველების შეფერხებით და მის გარეშე, სიმონ ქერეიჯიდომ და გუტიერეზ-კლელენმა (2009) შეაგროვეს „ბაყაყის მოთხრობების“ ნარატივები და სპონტანური შესრულებები/თარგმანის ვარიანტები როგორც

ესპანურ, ისე ინგლისურ ენებზე, რათა შეესწავლათ და გამოეკვლიათ ურთიერთკავშირები ლექსიკურ და გრამატიკულ შესაძლებლობებს შორის. კვლევის შედეგების სახით, საშუალო და მაღალი კორელაციები (ურთიერთქმედებები) დაფიქსირდა ორივე (ესპანურ და ინგლისურ) ენაში (ილუზ-ქოენი & ვოლტერი, 2012: 5-6).

კასტილომ, რესტრეპომ და პერეზ-ლეროქსმა (კასტილო და სხვ., 2009) აღმოაჩინეს ზომიერი და მაღალი კროსლინგვისტური კორელაციები მორფოსინტაქსისა და სემანტიკის საზომებისთვის, რაც მაჩვენებელია იმისა, რომ ეს უკანასკნელი ისეთი ენობრივი ასპექტებია, რომლებსაც შეუძლიათ ტრანსფერი კროსლინგვისტურად (ილუზ-ქოენი & ვოლტერი, 2012: 7-8).

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში პირველი ენის დაუფლების/შემენის შესახებ ჩატარებულმა კვლევებმა უზარმაზარი სარგებლობა მოუტანა ბავშვთა სხვადასხვა ენის დეტალურად შესწავლის საქმეს. კროსლინგვისტური კვლევის ამ ხაზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა არის ის, რომ ყველაზე ადრეულ ეტაპებზე ბავშვები მგრძნობიარენი არიან მორფოსინტაქსური განსხვავებების მიმართ სხვადასხვა შენატანის ენაში. ბავშვთა ენები ავლენენ იმდენივე ტიპოლოგიურ ცვალებადობას, როგორც ზრდასრულთა შესაბამისი ენები. და თუნდაც ფლექსიური მორფოლოგიის სფეროშიც კი, სადაც ენის განსაკუთრებული ცვალებადობა ყველაზე მდიდარია, ბავშვები სამიზნე ენის სპეციფიკას საოცრად ადრეულ ასაკში ეუფლებიან. ჰოექსტრა და ჰაიმსი (1998) ამ აღმოჩენას „ადრეულ მორფოსინტაქსურ კონვერგენციას“ (EMC - Early Morphosyntactic Convergence) უწოდებენ (ჰაიმსი, 2002). ასევე, სტეფანიმ (1997ა) აღმოაჩინა, რომ არ არსებობს კავშირი ბრუნვის აღნიშვნის/მარკირებისა და გარდამავალი კონსტრუქციების გაჩენას შორის. და რომ „ის, რაც მართებულია ბავშვურ ბერძნულში სუბიექტისა და ობიექტის გამიჯვნისათვის, არის ანიმაციის სემანტიკური კატეგორია და არა ბრუნვის გრამატიკული კატეგორია“ (სტეფანი, 1997ა: 220).

თავის მხრივ აღსანიშნავია, რომ ენის დაუფლების თეორიისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, გამოავლინოს როგორ ვითარდება ფუნდამენტური კატეგორიები და როგორ ურთიერთქმედებენ ისინი ბავშვის გონებაში გრამატიკის

განსავითარებლად. კვლევები აჩვენებს, რომ ბერძენი ბავშვები, ისევე როგორც სხვა ბავშვები, რომლებიც დეტალურად იქნა შესწავლილი არაერთი მკვლევარისა თუ მკვლევართა ჯგუფის მიერ, ძალიან სწრაფად ერწყმიან ზრდასრულთა ენის მორფოსინტაქსს. ჩატარებული კვლევების ანალიზი მოიცავდა სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიის ურთიერთქმედებას (ინტერაქცია) და, შესაბამისად, გულისხმობს, რომ ეს კატეგორიები არსებობს ბავშვთა ადრეულ გრამატიკაში (ჰაიმსი, 2002).

როგორც წარმოდგენილი მიმოხილვიდან ჩანს, არაერთ მეცნიერს აქვს კვლევის პროცესში გამოყენებული ნარატივის მეთოდი ინგლისურ, ებრაულ, ესპანურ თუ სხვა მრავალ ენაში ორენოვან და ერთენოვან ბავშვთა მეტყველების შესასწავლად, მაგრამ საქართველოში აღნიშნული მეთოდით ნაკლებადაა ნაკვლევი ეს საკითხი. ქართულენოვანი ბავშვების ნარატივებზე პირველი კვლევა ჩატარებული აქვს პროფ. ნ. იმედაძეს (1999).

წინამდებარე ნაშრომის სახით კი აღვნიშნავთ, რომ განსაკუთრებით ეფექტური გამოდგა ეს მეთოდი ბილინგვალ ბავშვების მეტყველების თავისებურებების შესასწავლად და ნარატივების ანალიზის დროს მათი ნარატივების მონოლინგვალ ბავშვების ნარატივებთან შესადარებლად.

#### 1.4. კოდების გადართვა (CS)

კოდების გადართვას (CS - Code Switching) ეძღვნება ქვემოთმოყვანილი რამდენიმე კვლევა: პოპლაკის (1980), სანკოფის (2002), მაკსვეინის (1999, 2005) და მაიერს-სკოტონის (2005) კვლევები - ყველა მათგანი ფოკუსირებულია ორი გრამატიკის სტრუქტურული შეზღუდვებისა და ზემოქმედების წარმოდგენაზე. ამ თვალსაზრისით, კოდების გადართვა ეხება ლექსიკური კატეგორიებისა და სინტაქსური კავშირების წარმოდგენას პირველ (L1) და მეორე (L2) ენებს შორის. ფსიქოლინგვისტურმა კვლევამ შეისწავლა კოდების გადართვის დროებითი „ღირებულება“ (კროლი & დე გრუთი, 1997; ვონ სტუდნიცი & გრინი, 2002), ენის შერჩევა და კროსლინგვისტური გააქტიურება (შვარცი & კროლი, 2006), პირველ რიგში, ლექსიკური დამუშავებისთვის. დისკურსის რამდენიმე მიდგომას

განხილული აქვს როგორც სტრუქტურული, ასევე დამუშავების საკითხები (მაგ. აუერი, 1998; მატრასი, 2000). კოდების გადართვის ფუნქციური მიდგომები ფოკუსირებულია სოციალურ მოტივაციებზე, რომლებიც ამ ფენომენის საფუძველს წარმოადგენს. CS-ის ყველაზე გამორჩეულ ფუნქციებს შორის არის გარემო-ვითარება, მონაწილეები და თემა/საგანი. პრაგმატულად, ნაჩვენებია, რომ CS გამოხატავს ფოკუსს/ცენტრს, მახვილს/აქცენტს, გარკვევას/ახსნა-განმარტებასა და კონტრასტს (მაგ. გარდნერ-ქლოროსი და სხვ., 2000; ზენტელა, 1997).

ბავშვთა კოდების გადართვის შესახებ კვლევამ ანალოგიური სქემა აჩვენა, მათ შორის გენერაციული თეორიით მოტივირებულმა კვლევებმაც. ასე, მაგალითად, ტორიბოს (2001) კვლევა ფუნქციონალური შეზღუდვისა და ზემოქმედების განვითარებაზე განასხვავებს და გამოყოფს იმას, რასაც მაისელი (1994) ადრეულ ეტაპს უწოდებს, ნაკლებად - სისტემურ „მიქს“ და „კოდების გადართვას“. ერვინ-ტრიპი და რეიესი (2005) მიმოიხილავენ კვლევას ბავშვებში კოდების გადართვის შესახებ განვითარების ადრეული სტადიიდან (ლანზა, 1997; ჯაისა, 2000) გვიან ბავშვობამდე (მოზარდობის პერიოდი), ცალკეული ლექსიკური ერთეულების განმასხვავებელი და დამახასიათებელი "ნასესხობით" ('borrowing'), სოციალური და პრაგმატული ფაქტორებით მოტივირებული კოდების გადართვის შესახებ დისკურსული გამოყენებიდან (მაგ.: ზენტელა, 1997). დაბოლოს, გუტიერეზ-ქლელენმა, სიმონ-ქერეიჯიდომ და ერიქსონ ლეონემ (გუტიერეზ-ქლელენი და სხვ., 2009) შეაგროვეს ნარატივები და სასაუბრო მეტყველება/დიალოგები, 40 ტიპურად (TD) (ტიპური ენობრივი განვითარების მქონე ბავშვები)<sup>12</sup> და 18 ატიპურად (SLI) (სპეციფიკური ენობრივი დაქვეითების მქონე ბავშვები)<sup>13</sup> განვითარებადი ესპანურ-ინგლისური ბილინგვალური ბავშვებიდან. ავტორებმა გამორიცხეს ფონოლოგიურად, მორფოლოგიურად და სინტაქსურად ინტეგრირებული ნასესხობა, აგრეთვე, საკუთარი და ადგილების სახელები (ილუზ-ქონი & ვოლტერი, 2012: 9).

აქვე, მოკლედ შევაჯამებთ **დასკვნებს ჩატარებული კვლევებიდან**: სხვადასხვა კვლევითმა ჯგუფმა სურათის თანმიმდევრობისა და ზემოთ აღწერილი

---

<sup>12</sup> TD - Typical Development (გაგარინა და სხვ., 2015, 2016: 22-25).

<sup>13</sup> SLI - Specific Language Impairment (გაგარინა და სხვ., 2015, 2016: 25).

პროცედურების საფუძველზე, ჩაატარა საპილოტე კვლევები; მათ გამოიკვლიეს მაკროსტრუქტურა ნარატივებში ტიპურად და ატიპურად ენის განვითარების მქონე მონოლინგვალური და ბილინგვალური ბავშვების მონაწილეობით. ეს გაკეთდა სხვადასხვა ენისა და ასაკობრივი ჯგუფისათვის. შესაბამისად, 2011-2012 წლებში ნარატივები შეგროვდა 267 ბილინგვალური და 302 მონოლინგვალური ბავშვთან 43-109 თვეების ასაკში (ე.ი. 3,6-9,1 წლის). წარმოდგენილი იყო 16 ენა (აფრიკული, ალბანური, ხორვატული, კვიპროსის ბერძნული, ჰოლანდიური, ინგლისური, ფინური, ფრანგული, გერმანული, თანამედროვე ბერძნული, ებრაული, იტალიური, ლიტვური, რუსული, შვედური, თურქული). ბილინგვალური ბავშვებისთვის, რომლებიც ამბებს ჰყვებიან ორ ენაზე, წარმოდგენილი იყო 14 სხვადასხვა ენობრივი წყვილი. ბავშვების ნახევარზე ოდნავ მეტმა შეასრულა როგორც ამბის მოყოლის, ისე ამბის განმეორებით თხრობის დავალებები; დანარჩენებმა მხოლოდ ამბის თხრობა მოახდინეს. შეფასდა მაკროსტრუქტურის მონაცემთა ოთხი კატეგორია: სიუჟეტის სტრუქტურა, სტრუქტურული სირთულე, შინაგანი მდგომარეობის პირობები და ამბის გაგება (გაგარინა და სხვ., 2015, 2016: 22-24).

**კოდების გადართვის მიზეზ-შედეგობრიობა:** უნდა აღინიშნოს, რომ ერთი ენიდან მეორე ენაზე გადასვლის პროცესის აღწერისთვის, რომელიც გულისხმობს მრავალი ნაირსახეობის სინტაქსურად და ფონოლოგიურად გამართულ ხმარებას, არაერთი ტერმინი იქნა გამოყენებული. უფრო მეტად გავრცელებული ტერმინია **„კოდების გადართვა“**, როცა ერთ ენაზე საუბრობს ინდივიდი და გადაერთვება მეორე ენაზე, მაგალითად, წინადადებას იტყვის ან აზრს განავითარებს მეორე ენაზე. ტერმინი **„კოდების არევა“** კი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ხდება ერთი სიტყვის სხვა ენიდან გამოყენება. თუმცა, მიუსკენი (2000) გამოიყენებს ტერმინს **„კოდების არევა“**, როგორც ზოგად ტერმინს, რომელიც მოიცავს ორივე ზემოთ განხილულ პროცესს, მაგრამ ამ ტერმინის შიგნით გამოჰყოფს 3 (სამ) სხვადასხვა სიტუაციას: ა) „ჩასმას“ (როცა, მაგალითად, იმიგრანტი საუბრობს სვამს ან სესხულობს სიტყვებს ლექსიკური მარაგის სიმწირის გამო); ბ) „მონაცვლეობას“ (მაგალითად, ბრიუსელში მცხოვრები ფრანგულად და ჰოლანდიურად მოსაუბრე ბილინგვალური იყენებს მონაცვლეობით ენას იმ არეალში, სადაც ეს ენები ცალ-ცალკე

ფუნქციონირებენ), და გ) „კონგრუენტულ ლექსიკალიზაციას” (როცა უკვე ჩამოყალიბებულია ტრადიცია, რათა ორ ენაში გრამატიკულად მსგავსი სიტყვების (მაგალითად, ჰოლანდიურ და ფრიზიულ ენებში) გამოყენება მოხდეს ორივე ენაში)) (ბეიკერი, 2010: 112-113).

ენობრივი კოდების შეცვლა არაერთი მიზნითა თუ მიზეზით ხორციელდება. ის დამოკიდებულია იმაზე, თუ ვისთან საუბრობს ბილინგვალი, რა არის საუბრის თემა და რა კონტექსტსა და სიტუაციაში ხდება საუბარი. გარდა ამისა, ერთი ენიდან მეორე ენაზე გადართვა შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული ფაქტორებით (ტრეფერს-დალერი, 1992, 1994; სტროუდი, 2004). მაგალითად, ენობრივ ჯგუფებს შორის არსებული კონკურენცია, უმცირესობათა და უმრავლესობათა ენების ურთიერთმიმართება გავლენას ახდენენ ენობრივი კოდების შეცვლაზე (ბეიკერი, 2010: 113).

აღსანიშნავია, რომ მონოლინგვალებს ერთი ენიდან მეორე ენაზე გადართვის პროცესისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ; ისინი ამას აღიქვამენ ნაკლად და ორივე ენის არცოდნად უთვლიან მოლაპარაკეს (2004). ბილინგვალებიც ვერ აღიქვამენ ბოლომდე პოზიტიურად ამ პროცესს; ისინი ხშირად ბოდიშსაც იხდიან ამ დროს. მიუხედავად ამისა, ენების გადართვა ითვლება მნიშვნელოვან ლინგვისტურ ინსტრუმენტად. ეს პროცესი არ არის შემთხვევითი, არამედ გააზრებული და ლოგიკური აზროვნების შედეგია. ბილინგვალისთვის ერთ-ერთი ენაა მთავარი ენა, რომელზეც სწორად აგებს გრამატიკულ კონსტრუქციებს თუ წინადადების წყობას; ამ ენას *მატრიცულ ენასაც* უწოდებენ (მაიერს-სკოტონი, 2002).

ძალიან ცოტა ბილინგვალი ახერხებს ორი ენის განცალკევებით გამოყენებას, ხოლო თუ რა გზებით ხდება ენების არევა, ძალიან რთული და განსხვავებულია. გროსინმა (1992) გამიჯნა „მონოლინგვური რეჟიმი” (როცა ბილინგვალი იყენებს ერთ ენას მონოლინგვალ თანამოსაუბრესთან) და „ბილინგვური რეჟიმი” (როცა ბილინგვალი არის ბილინგვალის გარემოცვაში და შეუძლია ერთი ენიდან მეორე ენაზე გადართვა). „მონოლინგვური რეჟიმის” დროსაც კი ბილინგვალები ხშირად გადაერთვებიან მეორე ენაზე წინასწარი განზრახვის გარეშე (ბეიკერი, 2010: 112).

ერთი ენიდან მეორე ენაზე გადართვას განაპირობებს ენობრივი უნარი, არსებული სიტუაცია და კონტექსტი, მოსაუბრესთან არსებული ურთიერთობები და მოლაპარაკეთა სტატუსი (მარტინ-ჯონსი, 2000; საიმონი, 2001). შესაბამისად, ენობრივი კოდების შეცვლა არ არის მხოლოდ ლინგვისტური საკითხი, არამედ ასახავს მნიშვნელოვან სოციალურ ურთიერთობებსა და ძალაუფლების გადანაწილების პროცესს (ბეიკერი, 2010: 116). კოდთა მონაცვლეობის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი თეორია სწორედ სოციოლინგვისტიკას განეკუთვნება და ცნობილია *მარკირებულობის მოდელის* სახელწოდებით, რომელიც 1993 წელს განავითარა ამერიკელმა ლინგვისტმა კეროლ მაიერ-სკოტონმა (Carol Myers-Scotton). თუმცა, არსებობს სხვა სოციოლინგვისტური თეორიებიც, რომლებიც განიხილავენ კოდთა მონაცვლეობას, როგორც მაგალითად, სამეტყველო ქცევას, ასევე, ხშირად იყენებენ დისკურსის ანალიზს, ეთნოგრაფიასა თუ ორივეს ერთდროულად. მეცნიერთა ნაწილი კი კოდთა მონაცვლეობას განიხილავს, როგორც ინტერაქციის დროს საუბრის სტრუქტურის საშუალებას. პეტერ აუერის აზრით, კოდთა მონაცვლეობა არა მხოლოდ აირეკლავს სოციალურ სიტუაციებს, არამედ მათი შექმნის საშუალებაცაა (აუერი, 1984).

*ენობრივი კოდების შეცვლა* ფართოდ არის გავრცელებული ბილინგვურ კლასშიც. სწორედ ამიტომ, ბავშვის მიერ ორი ენის ერთმანეთში არევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რასაც ხშირად აყენებენ მშობლები და მასწავლებლები (ბეიკერი, 2010: 294, 111). ფერგიუსონი (2003) აღნიშნავს, რომ ენობრივი კოდების შეცვლა: „არა მხოლოდ გავრცელებულია უმრავლეს საგანმანათლებლო სიტუაციაში, არამედ ბუნებრივი პროცესიცაა, რადგან წარმოადგენს შექმნილი სიძნელისადმი პრაგმატულ პასუხს, რადგანაც ასეთი სიძნელეები ხშირად გვხვდება, როცა მოსწავლეები საგნობრივ შინაარს სწავლობენ იმ ენაზე, რომელსაც სრულყოფილად ვერ ფლობენ. უფრო მეტიც, სწავლება ადრენალინით სავსე აქტივობაა და, შესაბამისად, მოითხოვს ძალიან დიდ ყურადღებას, ხოლო ყურადღების მისაპყრობად ენის შეცვლა ხშირად გაუთვითცნობიერებლად ხდება” (ფერგიუსონი, 2003: 46). (ვრცლად *კლასში ენის გამოყენების ფაქტორების შესახებ* იხ. ბეიკერი, 2010: მე-13 თავი).



## **§2. ენობრივი ინტერფერენცია ქართველ-ბერძენ ორენოვან უმცროსკლასელთა ნარატივებში და ბერძენ / ქართველ ერთენოვან უმცროსკლასელთა ნარატივების შედარებითი კვლევა**

ნებისმიერი სამეცნიერო ნაშრომი კონკრეტული საკვლევითი თემის კვლევასა და ანალიზს ისახავს მიზნად. საკვლევითი თემის გარშემო წამოჭრილი პრობლემების ანალიზისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია კვლევის ადეკვატური მეთოდის შერჩევა. ჩვენს შემთხვევაში ეფექტურ მეთოდად მივიჩნიეთ (ნარატივის მეთოდის გამოყენებით) ბავშვთა ნარატივების კვლევა. თანამედროვე ფსიქოლინგვისტურ სამეცნიერო სფეროში საკმაოდ გავრცელებულია მისი გამოყენება (იხ. ნაშრომები: სტეფანი, 1997ა, 1981, 1985; ბერმანი, 1988; ბერმანი & სლობინი, 1994; მანდლერი & ჯონსონი, 1977; რუმელჰარტი, 1975; სტავრაკაკი და სხვ., 2011; ტორიბიო, 2001; სვანსონი და სხვ., 2005; სტეინი & გლენი, 1979; მაისელი, 1994; ლილესი, 1993; ლაბოვი & ვალეცი, 1967; იმედაძე, 1999; ჰიუზი და სხვ., 1997; ჰერმანსი, 2004; ჰეილმანი და სხვ., 2010ა; ჰეილმანი და სხვ., 2010ბ; გაგარინა და შუკტომოვი (მომზ. პროც.); ფიესტა & პენა, 2004; ერვინ-ტრიპი & რეიესი, 2005; ბოტინგი, 2002; ბლისი და სხვ., 1998; ზამბერგი (რედ.), 1997.). წინამდებარე პარაგრაფში მოცემულია ჩვენ მიერ მოპოვებული ემპირიული კვლევის მდიდარი მასალა, თანმიმდევრულად გაანალიზებულია ნარატიულ ტექსტებში გამოვლენილი ლინგვისტური თუ სხვა ტიპის შეცდომები შესაბამისი გრამატიკული კატეგორიების მიხედვით.

**ნარატიული მასალები და პროცედურა:** ზემოაღნიშნულის კვალდაკვალ, წინამდებარე ნაშრომისთვის კვლევის მეთოდოლოგიად განვსაზღვრეთ - ნარატივის მეთოდი, რაც ბუნებრივ პირობებში მასალის შეგროვების მიზნით ენის კვლევის საშუალებას გვაძლევს. კვლევა, რომელიც განვახორციელეთ საგრანტო პროექტის ფარგლებში კვლევითი მიზნებით ათენის კაპოდისტრიას ეროვნულ უნივერსიტეტში ყოფნის პერიოდში, გულისხმობდა ემპირიული მასალის შეგროვებას შემდეგნაირად: ქართველ-ბერძენი ბილინგვალი და ბერძენი მონოლინგვალი უმცროსკლასელების მიერ ორჯერ, ცალკეულ დღეებში თითოეული ენისთვის (ერთკვირიანი, ზოგიერთ შემთხვევაში (მასალების შეგროვების დღეებში ზოგიერთი ბავშვის მოსამზადებელ ცენტრებში არყოფნის გამო) - ათდღიანი ინტერვალით, ქართულად და

ახალბერძნულად) ერთი და იგივე სურათების აღწერას. თითოეულ ნარატორთან შეხვედრა შედგა ინდივიდუალურად, კვლევის პირველ ეტაპზე, ბუნებაში, სპეციალურად შერჩეულ წყნარ ადგილას (პანდემიით გამოწვეული კარანტინ(ებ)ის დროს) და კვლევის მეორე ეტაპზე, უკვე სასწავლო დაწესებულებებში საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ, ჩვენთვის გამოყოფილ, თავისუფალ საკლასო ოთახებში. პონტოელ ბერძენ-ქართველ ორ ბილინგვალთან მასალების შეგროვება მოხდა გარე სივრცეში (აჭარის რეგიონი, საქართველო). რესპონდენტები თხრობის პროცესის ჩაწერის შესახებ ინფორმირებულნი იყვნენ პედაგოგებისა და მშობლების ან მკვლევარის სამეგობრო წრის მხრიდან, რომელთა დახმარებითაც პანდემიის პირველი ტალღის პერიოდში განხორციელდა კვლევის პირველი ეტაპი. ნარატივების ჩაწერის დაწყების წინ ნაშრომის ავტორი პირადად განუმარტავდა თითოეულ ცდისპირს პროცედურის შესახებ და სთხოვდა მოცემული სურათების აღწერით მოეთხრო ამბავი, რის შემდეგაც რესპონდენტს საშუალება ჰქონდა ეტაპობრივად გაცნობოდა თითოეულ სურათს და ეწარმოებინა თხრობა. ნარატივისთვის გამოვიყენეთ ე.წ. „ბაყაყის მოთხრობა“ ("Frog, where are you?"), რომლიდანაც აღწერისთვის შერჩეული გვექონდა 15 სურათი-ეპიზოდი (სრული კორპუსი შედგება დაახლოებით 20 სურათისგან). თითოეული ბავშვისთვის ნახატების ჩვენება მოხდა ცალ-ცალკე, მოთხრობის შესაბამისად განლაგებული თანმიმდევრობით. სურათების ორიგინალი ვერსია შავ-თეთრი იყო; თუმცა, ცდის პირთა მიერ დასურათებული ნახატების უკეთ აღქმისა და მათთვის თხრობის სტიმულის მიცემის მიზნით, მკვლევარმა ისინი თავისი სურვილისამებრ გაფერადებული სახით მიაწოდა მათ. რესპონდენტებისთვის სურათებით გადმოცემული ისტორია და თვით ნახატებიც უცნობი იყო. თვალსაჩინოებისთვის, აღნიშნული მოთხრობიდან რამდენიმე ეპიზოდი ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ სურათებზე (სურათი 1, 2, 3.).

უმცროსკლასელი რესპონდენტებისგან მიღებული ნარატივების ჩაწერის დასრულებისთანავე, ნაშრომის ავტორის მიერ მიმდინარეობდა მათ (სახელდობრ, ბილინგვალ რესპონდენტთა) მშობლებთან ზეპირი გასაუბრება, რომელიც კვლევის მეორე, მცირე ნაწილს წარმოადგენდა. მათთან ინტერვიუები შედგა ისეთი

მონაცემების შეგროვების მიზნით, როგორცაა: ბილინგვალ ნარატორთა თითოეული მშობლის წარმომავლობის გარკვევა, ოჯახური მდგომარეობის დადგენა, შერეული წყვილებისგან შემდგარი ოჯახის წევრების შესახებ დეტალების ჩანიშვნა, ბავშვთა ასაკის, სკოლაში შესვლის, საბერძნეთში ჩამოსვლის თარიღის დაზუსტება და სხვ. ასევე, მნიშვნელოვანი იყო, მშობლების პოზიციის გაცნობა, თუ რას ფიქრობდნენ თავიანთი შვილებისთვის მშობლიური (ქართული) ენის შესწავლის თაობაზე, ხედავენ თუ არა მათ ცხოვრებაში მის ადგილს თუნდაც სამომავლოდ უფრო მნიშვნელოვნად და ა.შ. მკვლევარი მშობლებისგან მიღებულ მონაცემებს წიგნაკში ხელნაწერის სახით ინიშნავდა.

შეჯამებისთვის, ნარატივების სახით შეგროვებული გვაქვს საკვლევი საკითხებისთვის აუცილებელი და საჭირო რაოდენობის ემპირიული (აუდიო) მასალა, რომელთა ჩაწერაც როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, ციფრული ფოტოაპარატით განხორციელდა. იგი უნიკალური მასალაა, საჭიროების შემთხვევაში შემდგომი დაკვირვებისა და გადამოწმებისთვის.

სურათი 1.



სურათი 2.



### სურათი 3.



(„ბაყაყის მოთხრობის“ სრული კომპლექტი იხ. დანართი №5).

**მონაწილეები:** აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ქ. ათენში (ატიკის რეგიონი) მცხოვრებმა ერთი და იმავე ასაკის ქართველ-ბერძენმა ბილინგვალმა და ბერძენმა მონოლინგვალმა უმცროსკლასელებმა. მონოლინგვალი ანუ ბერძენი ბავშვებისგან მიღებული ნარატივები გვესაჭიროებოდა ქართველ-ბერძენი და პონტოელ ბერძენ-ქართველი ბილინგვალეების ნარატივებთან შესადარებლად და, ასევე, კვლევის ერთ-ერთი მიმართულებისთვის, კერძოდ: ქართველ მონოლინგვალთა ნარატივებთან შედარებისა და ანალიზისთვის, ვინაიდან ჩვენთვის ხელმისაწვდომი იყო *ქართველ ერთენოვან სასკოლო ასაკის ბავშვებთან სივრცითი და დროის მიმართებების გამოხატვაზე პროფ. ნათელა იმედაძის მიერ ჩატარებული კვლევა*, სადაც მასალის მიღების პროცედურა იდენტური იყო ჩვენს კვლევასთან. შედეგად კი, კვლევის ამ მიმართულებამ ქართულ და ახალბერძნულ ენებზე კვლევის შედეგების შედარების საშუალება მოგვცა. ჩვენს ძირითად მიზანს წარმოადგენდა შემდეგი: ა) პირველ რიგში, დაგვედგინა და შემდგომ გაგვეანალიზებინა, რა სპეციფიკურ შეცდომებს დაუშვებდა თითოეული ბილინგვალი, კერძოდ: ახალბერძნული ენის ზეგავლენით, ქართულ ენაში რა სპეციფიკური შეცდომები შეიძლებოდა გამოვლენილიყო და პირუკუ: რა შეცდომები გამოვლინდებოდა ბერძნულ მეტყველებაში ქართულის

გავლენით; და ბ) შეგვემუშავებინა თითოეული ენის შეფასების (გაზომვის) თანამედროვე მეთოდები (Language assessment).

კვლევაში მონაწილე ცდის პირთა (ტიპური ენობრივი განვითარებით - TLD)<sup>14</sup> საერთო რაოდენობაა 51. ამათგან, 43 ნარატივი ნაშრომის ავტორის მიერაა მოპოვებული, კერძოდ: 20 ქართველ-ბერძენი (10 ბიჭი და 10 გოგო), რომელთაგან 3 მამით ბერძენია (2 ბიჭი და 1 გოგო) და 3 პონტოელი ბერძენ-ქართველი (1 ბიჭი და 2 გოგო) ორენოვანი უმცროსკლასელია, ასევე: 20 ბერძენი ერთენოვანი (13 ბიჭი და 7 გოგო), კვლევის ანალიზისთვის გამოვიყენეთ პროფ. ნ. იმედაძის მიერ მოპოვებული 8 (5 ბიჭი და 3 გოგო) ქართველი მონოლინგვალების ნარატივები;<sup>15</sup> საერთო ჯამში კი კვლევა ეყრდნობა 51 უმცროსკლასელისგან (ბილინგვალი და მონოლინგვალი) ქართულ და ახალბერძნულ ენებზე ჩაწერილ ნარატივებს.

ეროვნებით ქართველი ბავშვები მიიჩნევიან ბილინგვალებად, ვინაიდან ისინი საბერძნეთში დაიბადნენ, ან ზოგიერთ შემთხვევაში, სასკოლო ასაკში ოჯახთან ერთად საცხოვრებლად საბერძნეთს მიაშურეს, რის გამოც მათთვის დომინანტი ენა - ახალი ბერძნული ენაა (ასეთი - საქართველოში დაბადებული - მხოლოდ 4 ცდის პირია. კვლევაში მონაწილე 20 ბილინგვალი ბავშვიდან, 17-ის მშობლები ქართველები არიან, დანარჩენი 3 კი - მამით ბერძენია). აღნიშნული ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით, ჩვენს რესპონდენტებს *გარემოებით ბილინგვალებს* ვუწოდებთ (ერთ-ერთ ენაში არასრულფასოვანი კომპეტენციის გამო, მათ *ნაწილობრივ ბილინგვალებადაც* მოვიხსენიებთ), ბილინგვიზმის ტიპს კი, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან - *ასიმეტრიულ ორენოვნებას*, ვინაიდან, ეს უკანასკნელი (ორი სხვადასხვა ენა) ფუნქციურად უთანასწორო ურთიერთობის პირობებში ვითარდება. მათი ასაკობრივი ზღვარი განისაზღვრება 6-10 წლებით და ისინი ცხოვრობენ ქ. ათენის ცენტრალურ უბნებში, კერძოდ, ამბელოკიპზე, კიფსელზე, პაგრატზე, ზოგრაფუზე, კესარიანზე, ილისიაში, ღალაციში და ექსარხიაზე (Αμπελόκηποι,

---

<sup>14</sup> TLD - Typical Language Development (ილუზ-ქოენი & ვოლტერი, 2012: 11; გაგარინა და სხვ., 2015, 2016: 22-25);

<sup>15</sup> აღნიშნული კვლევა ჩატარებულია სასკოლო ასაკის ქართველ ბავშვებზე 1999 წელს, საქართველოში.

Κυψέλη, Παγκράτι, Ζαγυράφου, Καισαριανή, Ιλίσια, Γαλάτσι, Εξάρχεια) და არიან თავიანთ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე ბერძნული საჯარო სკოლების 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 კლასის მოსწავლეები. პონტოელ ბერძენ-ქართველ ბავშვებს კი პირობითად, **დაბალანსებულ** (ასევე: **თანაბარლინგვალებს** ან **ამბილინგვალებს**) ვუწოდებთ. ბილინგვიზმის ტიპს კი, რომელსაც ისინი განეკუთვნებიან - **დაბალანსებულ** ან **სინქრონულ** ბილინგვიზმს, ვინაიდან, ისინი დაბადებიდან მეტნაკლებად თანაბრად ითვისებენ ორივე ენას. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ მათთვის, ორივე (ქართულიც და ახალბერძნულიც) ენა მშობლიურია. ოთხივე ჯგუფში შემავალ ცდისპირთა საშუალო ასაკი განისაზღვრება 8.3, 8.1, 8.2 და 8.6 წლებით (შესაბამისი ცხრილები 9, 10, 11 და 12 იხ. ქვემოთ).

**ჯგუფების და ქვეჯგუფების განმარტებისთვის:** კვლევაში მონაწილე რესპონდენტები მათ მიერ ნაწარმოებ ნარატივებთან ერთად ნაშრომში წარმოდგენილი გვყავს ოთხი ჯგუფის სახით (I, II, III და IV ჯგუფები). აქედან, I და II ჯგუფები თითოეული ცალ-ცალკე მოიცავს ორ-ორ ქვეჯგუფს (ნაშრომში ისინი აღნიშნული გვაქვს შემდეგნაირად: I ჯგუფი, ქვეჯგუფი 1; I ჯგუფი, ქვეჯგუფი 2 და II ჯგუფი, ქვეჯგუფი 1; II ჯგუფი, ქვეჯგუფი 2)<sup>16</sup>. რესპონდენტთა და მათგან მოპოვებულ ნარატივთა ზემოაღნიშნულ ჯგუფებსა ან/და ქვეჯგუფებში გადანაწილების პრინციპი და შემადგენლობა შემდეგია:

**I ჯგუფი, ქვეჯგუფი 1:** ქართველ-ბერძენი ბილინგვალი ბავშვების ქართული ნარატივები;

**I ჯგუფი, ქვეჯგუფი 2:** ქართველ-ბერძენი ბილინგვალი ბავშვების ახალბერძნული ნარატივები;

**II ჯგუფი, ქვეჯგუფი 1:** პონტოელი ბერძენ-ქართველი ბილინგვალი ბავშვების ქართული ნარატივები;

**II ჯგუფი, ქვეჯგუფი 2:** პონტოელი ბერძენ-ქართველი ბილინგვალი ბავშვების ახალბერძნული ნარატივები;

**III ჯგუფი:** ბერძენი მონოლინგვალი ბავშვების ახალბერძნული ნარატივები;

**IV ჯგუფი:** ქართველი მონოლინგვალი ბავშვების ქართული ნარატივები.

---

<sup>16</sup> ნაშრომში, ზოგიერთ ადგილას, მათ პირობითად, მოვიხსენიებთ როგორც 6 (ექვს) ქვეჯგუფს;

## კვლევის შედეგების ანალიზი:

კვლევის ანალიზის დროს გამოვიყენეთ 2 (ორი) მიდგომა: *ფუნქციური და სტრუქტურული*. პირველი გულისხმობს, შინაარსობრივად რამდენ ეპიზოდადაა დაყოფილი ბავშვის მიერ მონათხრობი. სტრუქტურული მიდგომა კი მოიცავს *ლექსიკოლოგიურ და მორფოსინტაქსურ შედარებებს, და კოდების გადართვის (CS) სიხშირის გაზომვას*. მთლიანობაში კი - ამ პროცესების შედარებით ანალიზს.

1. *ლექსიკოლოგიური შედარება განისაზღვრება  $Ttr^{17}$  (Type token ratio) ფორმულით*, სადაც დიდი **T (Type)** - აღნიშნავს განსხვავებული (ერთხელ გამოყენებული) სიტყვების რაოდენობას, პატარა **t (token)** - ტექსტში სიტყვების მთლიან რაოდენობას და **r (ratio)** - მათ თანაშეფარდებას, ანუ ორიგინალური სიტყვების რაოდენობა იყოფა მთლიან რაოდენობაზე და მიიღება წილადი (**T : t = 0.00**) ზე (იხ. ცხრილები 1, 2, 3 და 4).

2. *მორფოსინტაქსური შედარება* პირობითად შეიძლება განისაზღვროს რამდენიმე პუნქტით:

